გᲐნᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ გᲐნᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

## ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: ლია გრიგოლია |
| **წევრები:** |
| ნინო თაბაგარი |
| ლაურა ჯიმშელეიშვილი |
| ხათუნა ჯიმშიაშვილი |
| ნინო თამარაშვილი |
| ნინო მარღიშვილი |
| თეონა შერაზადაშვილი |
| მანანა შეროზია |
| მარინა ანესაშვილი |
| მაკა ნატროშვილი |
| მარინე რეხვიაშვილი |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 218049332 |

### II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი |
| იურიდიული მისამართი | გორი, საქაშეთი |
| ფაქტობრივი მისამართი | გორი საქაშეთი |
| საფოსტო ინდექსი | 1400 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Saqasheti.mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577922528 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის 2023 წლის 5 მაისის ბრძანება N556376 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 22,23 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, |
|---|---|---|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საბაზო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი |
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; | საშუალო საგანმანათლებლო საფეხური | ქართული ენა | გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი საქაშეთი |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის სკოლაში შეფასების პროცესი აქტიურ რეჟიმში წარიმართა. ორი დღის განმავლობაში ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი, როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან, ისე სხვადასხვა საგნობრივი კათედრის წევრებთან. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 3.2<br>პერსონალის განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ შესაბამება<br>☐ მეტწილად შესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შესაბამება<br>☐ არ შესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება**

| მოსწავლეთა რაოდენობა: 175<br>-------------- | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | |

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
**ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისობით შეაფასა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.**

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ" შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა".

| სტანდარტი 1 | სკოლის ფილოსოფია | ხარვეზი |
|---|---|---|
| ინდიკატორი | | . |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| სტანდარტი 3 | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი ....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი* | | ............... |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| .... | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| ინდიკატორი 3.4.1.1 | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებ სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა მოიპოვოს 2023 წლის 24 აგვისტოდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი* | | |

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (სახეთ კურიკულუმი დასახელება) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი ....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | | |
| | | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი 3* | | *რჩევა* |
| *ინდიკატორი* | | ............... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი 4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი* .... | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი 2* | სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმი დასახელება) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი* .... | | ............... |
| | | |
| | | |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლას გაეგზავნა ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის პროექტი. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ სკოლამ გამოაგზავნა 3.4.1.1. ინდიკატორის მოთხოვნის- „სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას"- სკოლის შენობის მდგრადობის გეგმის არ არსებობის შესახებ არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ , შესაბამისობის გეგმის მიხედვით სკოლა ამ პრობლემის მოგვარებას უზრუნველყოფს 2023 წლის 24 აგვისტოდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნული საკითხი განიხილა ექსპერტთა ჯგუფმა და გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. შესაბამისად, ინდიკატორი 3.4.1.1. შეფასდა, როგორც მეტწილი. მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. 2022-2023 სასწავლო წლის SWOT ანალიზის საფუძველზე სკოლის საზოგადოებამ მიიღო გადაწვეტილება შეიმუშაოს სკოლის ახალი მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულ დოკუმენტზე მუშაობა უკვე დასრულებული იყო ვიზიტის დროს. ვიზიტის დროს წარმოდგენილი 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით საქაშეთის საჯარო სკოლა პასუხისმგებლობას იღებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნების შესაბამისად, კვალიფიციური კადრებით, თანამედროვე ინფრასტრუქტურით, სათანადო აღჭურვილობითა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფით აღზარდოს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი, კონკურენტუნარიანი და კომუნიკაბელური პიროვნება, განუვითაროს გონებრივი და ფიზიკურ უნარ-ჩვევები; ჩამოუყალიბოს ლიბერალურ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება. ჩამოაყალიბოს პასუხისმგებლიან პიროვნებად, რომელიც შეძლებს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას. ახალი მისიით სკოლა მზადაა განსაზღვროს მისი განსაკუთრებულობა. წარმოდგენილი მისია შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან და ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
2. სკოლა ცდილობს შექმნას სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლი, მოსწავლე, მშობელი) საჭიროებების კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად, სასწავლო - პროცესის გაუმჯობესებისთვის სკოლა გეგმავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სადამრიგებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა, სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსებით, თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასტიმულირებელი ბერკეტების განსაზღვრა სწავლებისა და აღზრდის საქმეში. სკოლის დირექციასთან, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიების დროს გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების, თემის როლი სკოლის ხედვის , მისიის ჩამოყალიბების საქმეში. ამასთან, სკოლა აცნობიერებს, რომ სწავლის პროცესი შეუძლებელია საზოგადოებრივი და თემის პრობლემებისგან ცალკე იდგეს და არ ემსახურებოდეს მათ გადაჭრას.სკოლის მისიისა და ხედვის თანახმად, სკოლა გეგმავს სკოლა აქციოს პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო - კულტურულ სივრცედ. ინდიკატორი სტანდფარტის შესაბამისია.
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნა სასკოლო საზოგადოების მონაწილეობით, რაც დასტურდება სკოლის დირექტორის ინდ. სამართლებრივი აქტით შექმნილი სკოლის სასკოლო- სასწავლო გეგმის შემუშავების სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჯგუფის არსებობით, აღნიშნულმა ჯგუფმა უზრუნველყო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების სრულყოფა. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა დირექციის, საქმეთა მმართველისა და მასწავლებლებისაგან (კათედრების წარმომადგენლები), SWOT ანალიზის ეტაპზე ჩართულია მოსწავლეებიც და მშობლებიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შედეგად სასწავლო გეგმების, კურიკულუმებს შემუშავება ხდება სკოლის ხედვის, მისიის და ღირებულებების გათვალისწინებით, ასევე 2023-22024 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამებში შეტანილია სკოლის მისიის, ხედვის მისაღწევი ღონისძიებები. სასწავლო პროექტები სკოლაში განხორციელდება მისიის , ხედვის მიზნებიდან გამომდინარე. ამ პროცესში კი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სასკოლო საზოგადოება. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ გამოიკვრულია სკოლის ფოიეში, პირველ, მეორე და მესამე სართულებზე. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის გასაჯაროების მექანიზმებს. ესენია: სკოლის ელ.ფოსტა, სოციალური ქსელი. სკოლის ვებგვერდი. ინფორმაციის მიწოდება ხდება ,ასევე პირდაპირი კომუნიკაციის გზით საკლასო ოთახებში, პირისპირ შეხვედრებზე. შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

6.სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც დასტურდებაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის 2003-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

სკოლის დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

საგნობრივი კურუკულუმები

სადამრიგებლო პროგრამები

განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის 2023 წლიწ 9 სექტემბრის წერლი N 1083616
შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია შედგენილია SWOT ანალიზის საფუძველზე და მოიცავს: რეკომენდაციების შემუშავებას, სტრატეგიული დაგეგმვის განხორციელების წესსა და ფაზებს; მისიისა და ხედვის შემუშავების პროცესს; სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია რა ნაბიჯებითა და მექანიზმებით მოხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება (მაგ. მატერიალური- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ჯანსაღი, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო; საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგ. საკითხები/პროცედურები; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში და ა.შ). ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს რამდენიმე სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც თავის_მხრივ მოიცავს შემდეგ მიზნებს: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სადამრიგებლო პროგრამების ხელშეწყობა, სკოლის რესურსებით უზრუნველყოფა, თვითშეფასების სისტემის ჩამოყალიბება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, მასტიმულირებელი ბერკეტების შექმნა. კონკრეტული მიზნები ჩაშლილია ამოცანებად.

შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასევე გაწერილია მოსალოდნელი შედეგები, რესურსები, სტრუქტურული ერთეულების (პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა), სკოლაში არსებული სამუშაო ჯგუფების ( მაგ. ხარისხის განვითარების ჯგუფის) და თემის ჩართულობა და პასუხისმგებლობა სტრატეგიული განვითარების ამოცანების შესასრულებლად. შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი, ანალიზისა და გადახედვის მექანიზმები გაწერილია სკოლის მიერ შექმნილი მეთოდოლოგიის დოკუმენტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღწერილი გარემოებების გამო ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. 2023 -2024 წლების სამოქმედო გეგმა (პროექტი) შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. იგი განიხილება პედაგოგიური საბჭოს მიერ სექტემბრის დასაწყისში პედსაბჭოს პირველ სხდომაზე.
სამოქმედო გეგმის პრეამბულაში ნათქვამია, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. გეგმა ითვალისწინებს კონკრეტულ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის ლოგიკური თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. სამოქმედო გეგმა გათვლილია 1 წელზე და მისი გადახედვა ხდება ყოველწლიურად. გადახედვის შედეგად ფასდება წინა წლის გეგმის შესრულება, ზუსტდება შემდეგი წლის ამოცანებისა და აქტივობების ნუსხა, საჭიროების შემთხვევაში ემატება ახალი აქტივობები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია შესასრულებელი აქტივობები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, შეფასებისათვის საჭირო გაზომვადი ინდიკატორები. აქტივობები ზოგადია ( ფინანსური რესურსი არ არის გაწერილი) ბიუჯეტით სკოლა დეფიციტურია, შესაბამისად, ფინანსური რესურსი შეზღუდული აქვს და სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტში მცირე თანხებია გამოყოფილი პროფესიული მხარდაჭერის, წახალისებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობებისათვის. განხორციელებისათვის. საპროგნოზო ბიუჯეტი შესაბამისობაშია წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილ აქტივობებთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის ორგანიზაციული შესაძლებლობების, გამოწვევის (რისკების) და გარემოს ანალიზს. რომლის ფარგლებშიც განხილული და შეფასებული უნდა იქნეს ყველა ფაქტორი, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული გეგმის შესრულებაზე და თავად სკოლის მდგრად განვითარებაზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიაში გაწერილია სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები,სტრატეგიული დაგეგმვის ფაზები, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმის გადახედვის ფაზას. მას წინ უსწრებს სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. სკოლის შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია სკოლის საქმიანობის შიდა და გარე შეფასების , მართვის პროცესის, პერსონალის, მატერიალური და ფინანსური რესურსის შეფასების წესი, რომელიც უზრუნველყოფს ერთწლიანი სამოქმედო გემით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების შეფასებას. მონიტორინგის და შეფასების მექანიზმები გაწერილია, როგორც შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში, ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და გაიწერება სასკოლო-სასწავლო გეგმაში.

სკოლის ერთწლიანი საამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის სკოლას შექმნილი აქვს დოკუმენტი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შეფასებას და ანალიზს, სასკოლო გარემოს , ინფრასრუქტურული მდგომარეობის , მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინის, მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, სკოლის მართვაში მშობელთა მონაწილეობის შეფასებისა და ანალიზის მექნიზმებს. სკოლა გეგმავს სკოლის შიდა საქმიანობის მონიტორინგის ჯგუფის შექმნას, რომლის მიზანია სკოლაში სასწავლო პროცესისა და სასწავლო გარემოს ხარისხის უზრუნველყოფა, სასკოლო-სასწავლო გეგმის სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მექანიზმების შემუშავება. მასში თანაბარი რაოდენობით შევა დირექციიის წევრი, მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი და სხვა დაინტერესებული პირი. სკოლაში შექმნილია სსსმ მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს კანონის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ფორმა, რითიც მასწავლებელი ახორციელებს ინდ. გეგმის მონიტორინგს განმავითარებელი კომენტარით; სასწავლო პროცესის მონიტორინგს სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახორციელებს მასწავლებლების, კათედრების ხელმძღვანელების, დირექტორის მოადგილის ანგარიშების საფუძველზე. აღნიშნული გარემოება გვაძლევს საშუალებას ინდიკატორი შეფასდეს, როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

2. სკოლას არ აქვს კონკრეტულად გაწერილი მონიტორინგის წესი, მაგრამ რამოდენიმე დოკუმენტში დაკონკრეტებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს შეფასების ფორმებს. სკოლა გეგმავს გარე და შიდა შეფასების საფუძველზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმიდან არსებული ხარვეზის დროულ აღმოჩენას და მათ გამოსწორებას, როგორც მთლიანად ორგანიზაციის, ისე ცალკეული თანამშრომლის საქმიანობაში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შედეგების განხილვა პერიოდულად ხდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე, მშობელთა კრებებზე, მიეწოდება ინფორმაცია მოსწავლეთა თვითმართველობასაც. შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის და განხორციელების ეტაპები მოიცავს გამოკითხვებს სასკოლო საზოგადოებაში: კერძოდ, მასწავლებლებში, მოსწავლეებსა და მშობლებში. სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანალიზი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია გამოთქვას მოსაზრებები, რჩევები განსახორციელებელი თუ განხორციელებული აქტივობების შესახებ და შესაბამისი რეკომენდაციები მოაწოდოს სკოლის ადმინისტრაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილია სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ფაზები ანალიზისა და შეფასებისათვის, რის შემდეგაც მიღებულ მიგნებებს/დასკვნებს სკოლა გაითვალისწინებს მომავალი სასწავლო წლისათვის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. ასევე სკოლას აქვს შემუშავებული ანალიზის ფორმა , რითაც წლიურ სამოქმედო გეგმის თითოეულ პუნქტს აფასებს, შემდგომში დირექტორი ანგარიშით წარდგება პედსაბჭოს წინაშე..ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

შიდა საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა;

სკოლის დირექტორის წლიური ანგარიში სამეურვეო საბჭოს, დირექტორის მოადგილის ანგარიში, კათედრის ხელმძღვანელების ანგარიში, მასწავლებლების ანგარიში, ინდ. სასწავლო გეგმის მონიტორინგის ფორმა; ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების/ პირების სამუშაო აღწერილობები, ფუნქვიები და უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ, სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა“ , სადაც დეტალურადაა გაწერილი სკოლის სტრუქტურა და დასაქმებულების უფლება-მოვალეობები, დასაქმებულებთან დადებულ ხელშეკრულებებშიც გაწერიალია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში კი მკაფიოდ აქვს გამიჯნული სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების სამუშაო სექტორები, პასუხისმგებლობები. სკოლას გააჩნია სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი. შესაბამისად, აღნიშნული მუხლი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა, წახალისებისა და ადმინისტრირების, პერსონალის მართვის განსაზღვრული პოლიტიკა (დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი), საგანმანათლებლო პროცესების მართვის, მონიტორინგის, შეფასების, დაგეგმვის პროცესები გადანაწილებულია პასუხისმგებელ პირებზე. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შიდა მექანიზმი -ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის ფუნქციონირებაც დასტურდება გაკვეთილებზე დასწრების ოქმებით, ანალიზებით, შეფასებებითა და სხვა საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის განსავითარებლად ჩატარებული ღონისძიებების მტკიცებულებებით(ინტერვიუები, გამოკითხვები, პროექტები, სოცქსელების მასალა და სხვ). სკოლაში ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ განხილული და დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გაწერილი სასკოლო სუბიექტების საგამანათლებლო პროცესებში ჩართვის, მათი ფუნქციების, უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაცია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა “. დოკუმენტით;

თანმშრომლებთან დადებული ხელშეკრულებებით;

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ -დოკუმენტით;

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის“ - დოკუმენტით.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1.პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2.სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3.პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5.პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6.სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პერსონალის მართვის წესები, მათი სამუშაო აღწერილობები, უფლებები და მოვალეობები, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა “ დოკუმენტით; ხელშეკრულებების ნიმუშებით, სკოლის შინაგანაწესით. ხელშეკრულებები შედგენილია ყველა მოქმედი კანონისა და ნორმატიული აქტის შესაბამისად (შრომის კანონმდებლობა, კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის შინაგამაწესი და სხვა).

მნიშვნელოვანია, რომ სკოლას აქვს შემუშავებული დოკუმენტი „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით დაწესებულებაში კანონმდებლობის საფუძველზე ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების მართვა ყველა მიმართულებით: პედაგოგთა/თანამშრომელთა კონკურსის გზით მიღება, თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა, საათების განაწილება, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, სახელფასო სისტემის დახვეწა და ა.შ. ზემოთ აღნიშნული გარემოებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2.პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ცალკე დოკუმენტად არ იძებნება, მაგრამ ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სკოლის პერსონალის მართვის დოკუმენტში, რომელშიც პერსონალის მართვის ძირითად მიმართულებებზეა საუბარი. ასევე გაწერილია სკოლის შინაგანაწესში და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების ტექსტში. მაგ. შინაგანაწესის მე-4 მუხლი ეთმობა სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებასა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესს. დასაქმებულის მიერ დისციპლინურ გადაცდომას და პასუხისმგებლობის სახეებზე საკმაოდ დაწვრილებითაა საუბარი შინაგანაწესის მე-13 მუხლში, ხოლო დასაქმებულის წახალისების სახეებსა და გამოყენების წესზე, დისციპლინურ დევნაზე მე-10 და მე-12 მუხლებში. ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

3. სსიპ-გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის დასაქმების პოლიტიკის უმთავრესი პრინციპია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება და მათი შესაძლებლობებისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება.

სკოლის დასაქმების პოლიტიკა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

სამართლიანობას - სკოლა თანამშრომელთა მიმართ გამორიცხავს ყოველგვარი სახის დისკრიმინაციას, უზრუნველყოფს ობიექტურობას და მიუკერძოებლობას.

თანასწორობას (თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას) - სკოლა თანაბარ პირობებში აყენებს დასაქმებულებს ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი კუთვნილების, სოციალური წარმომავლობის ან პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. სკოლის ყველა თანამშრომელი თანაბარი უფლებებით სარგებლობს სასკოლო ცხოვრებაში და პროფესიული განვითარების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მრავალფეროვნებას - სკოლა ხელს უწყობს განსხვავებული და მრავალფეროვანიგამოცდილების, მრწამსის თუ ღირებულებების, სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმომავლობის მქონე კადრების მოზიდვასა და დასაქმებას.

გამჭვირვალობას - სკოლის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები არის გამჭირვალე და ხელმისაწვდომი ყველასთვის.

სკოლაში კადრების საჭიროების დადგენის შემდეგ მასწავლებელთა შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსის წესით, ხოლო ადმინისტრაციისა და სხვა თანამშრომლების შერჩევა ხდება მოქმედი კანონმდელობის შესაბამისად. ამგვარად, სკოლაში მოქმედი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით და ეს ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. სკოლას შრომითი ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული პერსონალთან. სკოლაში დასაქმებულია 21 მასწავლებელი ( 20 უფროსი და 1 მოწვეული). მოწვეული სპორტის მასწავლებლი აყვანილია კანონის შესაბამისად. სკოლას ასევე ჰყავს საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ექთანი, ბიბლიოთეკარის თანამდებობა შეთავსებული აქვს დირექტორის მოადგილეს, სპეც. პედაგოგი, დამლაგებლები და დარაჯები. სკოლას მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით უნდა ჰყავდეს ექიმი, ექიმის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონურსის მასალებიდან ირკვევა, რომ არაერთხელ გამოცხადებული კონკურსის შედეგად ვაკანსიის შევსება ვერ მოხერდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგის თანახმად კონკურსის წესით აყვანილ იქნა მედდა.

თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონის შესაბამისი დოკუმენტაცია: პედაგოგებთან - პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი; გამოცდილების დამადასტურებელი სერთიფიკატები, ცნობები ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობები. პერსონალის დანიშვნის აქტები შესაბამის საკადრო ბრძანებების ჟურნალშია გატარებული. პედაგოგებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები აღრიცხულია და ინახება კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის მართვის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპს ეყრდნობა, რისი დასტურიც არის სკოლაში წარმართული კათედრის სხდომები, ურთიერთდასწრებები, განხორციელებული პროექტები, არაფორმალური ღონისძიებები და ა.შ. სკოლის აქტიური თვითმართველობა სკოლაში არსებულ გუნდურ ატმოსფეროზე მიუთითებს. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმართველობა მონაწილეობას იღებს სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მექანიზმი. კერძოდ, წარმატებული პრაქტიკის შესახებ საგნობრივი კათედრისა და სასწავლო ჯგუფების წინაშე ჩატარებული აქტივობებისა და სტრატეგიების პრეზენტაცია - განხილვა, კოლეგების დასწრება გაკვეთილებზე, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა წარმატებული პრაქტიკის გამოყენების მიზნით, ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისთვის აღნიშნული სტრატეგიების თუ მეთოდების გამოყენების მიზნით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულებები

სქრინი pedagogi.ge და მასწავლებელთა პირადი საქმე

საკონკურსო საპრეტენზიო კომისის ოქმები

დისციპლინური კომიტეტის ოქმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის სხდომის ოქმები

პედსაბჭოს ოქმები

ხარისხის ჯგუფის ოქმები

შინაგანაწესი

სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები

საშტატო განრიგი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1.ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

1. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ -გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია მაწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ამ მიზნით აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროების დადგენის მექანიზმები: სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას განახორციელებს მასწავლებელთა პორტფოლიოების, გაკვეთილებზე დასწრების, მასწავლებელთა თვითშეფასების, მოსწავლეთა სასწავლო შედეგების ანალიზის საფუძველზე. სასკოლო საზოგადოების დანარჩენი წევრების შეფასება და პროფესიული საჭიროების დადგენა მოხდება პერსონალის თვითშეფასების, შესრულებული სამუშაოს შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**2.** პერსონალის განვითარება ხორციელდება ჩატარებული გამოკითხვების, პერსონალის საქმიანობის შეფასების, მათ მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების, შესრულებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, სკოლის დირექცია აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ადგენს პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმას, რომელსაც განიხილავს პედაგოგიური საბჭო. სკოლის პერსონალმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მათი საჭიროებების გათვალისწინებით აღნიშნული გეგმა მოიცავს შეხვედრებს, ტრენინგებს და უტარებათ ინდივიდუალურ კონსულტაციები. ამასთან კათედრებზე ხდება პროფესიული განვითარების მიზნით წარმატებული გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმა, ურთიერთდასწრება და ა.შ . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**3.** სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ სსიპ გორის მუნიციპლიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები“ გაწერილია აქტივობები სკოლის პერსონალის კარიერული ზრდისთვის. აღნიშნული დოკუმენტის მე-4 მუხლი მოიცავს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ამოცანებს,კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ამოცანებია: სკოლის ადამიანური რესურსების მართვა; სკოლის მიზნების და ამოცანების შესაბამისად დასაქმებულთა მუდმივი განვითარება მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვა, კადრების შერჩევის პროცესის ორგანიზება და მართვა; სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, სკოლაში არსებული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დანერგვა, ადამიანური რესურსების საჭიროებათა უზრუნველსაყოფად სკოლის შესაძლებლობების ანალიზი და შეფასება და მასწავლებლთა პორთფოლიობის შეფასება.

სკოლის პერსონალის შეფასების შემდეგ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ხდება პერსონალის პროფესიული განვითარება. პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში გაწერილია შემდეგი ღონისძიებები:

ა) მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით სხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი ტრენინგების გავლა;

ბ) სკოლის ბაზაზე მასწავლებლთა შეხვედრები და განხილვები;

გ)განმავითარებელი დავალებები - ხელმძღვანელის მიერ მიცემული დავალება,რომელიც ახალი გამოწვევაა პერსონალისთვის, წარმოადგენს მისთვის სიახლეს და მიზნად ისახავს პერსონალის პროფესიულ განვითარებას;

დ) პროექტების მართვა - ახალი ე.წ. პროქტების მართვა წარმოადგენს ახალგამოცდილებას, რომელიც ავითარებს კოორდინაციის, დაგეგმვის, კომუნიკაციის უნარებს. ასევე მნიშვნელოვანია მოტივირებისათვის.

ე) კათედრის წევრთა შეხვედრები.

ვ) ქოუჩინგი - ქოუჩი ეხმარება პერსონალს განივითაროს რომელიმე უნარი, კომპეტენცია (კომუნიკაცია, პერსონალთან ურთიერთობა, გადაწყვეტილების მიღება). ქოუჩის მიზანია პერსონალს თავადვე აპოვნინოს გამოსავალი, ალტერნატივები. ქოუჩინგის მიზანია განავითაროს და გააძლიეროს პერსონალი. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის ადამინური რესურსების განვითარების მექანიზმები შეიძლება ითქვას , რომ პერსონალის განვითარება ძირითადად ეფუძნება საჭიროების ანალიზის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას. შესაბმისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ა)სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, ბ)კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, გ)თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. თანამშრომლისთვის მისასალმებელი პოსტის დადება სკოლის დახურულ ჯგუფში, სოციალურ ქსელში/სკოლის ელექტრონული ფოსტიდან მისასალმებელი ტექსტის გაგზავნა,დ)სკოლის სხვა თანამშრომლებისთვის ელექტრონულ ფოსტაზე შეტყობინების გაგზავნა ახალი თანამშრომლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღების შესახებ. ე)სკოლის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება,ვ)კათედრაზე/ ადმინისტრაციისთვის წარდგენა,ვ)სამუშაოს შესაბამისი კულტურის, არსებული ძლიერი დასუსტი მხარეების, სამომავლო პერსპექტივების გაცნობა,მისთვის საჭირო დოკუმენტების გადაცემა,ზ)თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის არსებული ალტერნატიული გზების (დახურული ჯგუფები,ელექტრონული ჟურნალი და სხვ.) შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თ)თანამშრომლისთვის საქმიანობასთან დაკავშირებული კონკრეტული მოლოდინების დასახვა და მისი მოლოდინების გათვალისწინება, სამუშაოს შესრულების გაზომვად კრიტერიუმებსა და პერიოდულ მონიტორინგზე შეთანხმებ, ი)მოსწავლეებისთვის წარდგენა და სხვა. სკოლის პერსონალთან საუბრისას გაირკვა, რომ ზემოთ ჩამოთვლი აქტივობები ახალ პერსონალს ხელს უწყობს ახალ გარემოში ადაპტაციის პროცესში და განაპირობებს მის კეთილგანწყობას, შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება ხდება სხვადასხვა ფორმით, კერძოდ: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით, სკოლამ წარმოადგინა პერსონალის დაჯილდოებისა და წახალისების მტკიცებულებები. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ვასკვნით, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*საინფორმაციო დაფა*

*ხელშეკრულებები*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*სქრინი pedagogi.ge და პირადი საქმე*

*საკონკურსო საპრეტენზიო კომისია*

*დისციპლინური კომიტეტის ოქმი*

*კათედრის ოქმები*
*საათების გადანაწილება*
*პედსაბჭოს ოქმები*
*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ხარისხის ჯგუფის ოქმები*
*შინაგანაწესი*
*სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები*
*ტრენინგების გავლის დამადასტურებელი მასალა*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3. 3. პერსონალის მართვა**

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2.იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3.სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად დოკუმენტურად გაწერილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების ვალდებულება და წარმოდგენილი აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კომპონენტების არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებები: კვლევები, ინტერვიუები, ანალიზები, კათედრის სხდომის ოქმები და სხვა. აღნიშნული დოკუმენტები არეგულირებს სასწავლო გარემოს, სწავლა/სწავლების პროცესის მართვას და საფუძვლად უდევს სკოლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებას. სკოლაში ხორციელდება მონიტორინგი, რომლის მონაცემებიც გამოიყენება არა მხოლოდ კონკრეტული ინფორმაციის შესაფასებლად, არამედ საგანმანათლებლო პროცესის განვითარების ხელშესაწყობად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლას საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აქვთ იდენტიფიცირებული. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება; განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, ფინანსური რესურსებს მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, მატერიალური რესურსის მართვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), კარიერული განვითარება. თითოეული მიმართულებით სკოლას შემუშავებული აქვს მარეგულირებელი დოკუმენტები, სადაც აღწერილია ჩამოთვლილი მიმართულებები.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვა სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის გასაჩივრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუქციის“ შესაბამისად ხდება. დოკუმენტში აღწერილია თუ ვის და როდის შეუძლია საჩივრის შემოტანა, საჩივრის შემოტანის და გასაჩივრების ვადები.
სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომლის შეხვედრები დაოქმებულია. საერთო ბრძანებების ჟურნალში სკოლას გატარებული აქვს არაერთი მოსწავლისთვის თუ თანამშრომლისთვის დაკისრებული დისციპლინური სახდელის ბრძანება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. სკოლის შინაგანაწესით უზრუნველყოფილია პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვა კერძოდ, საუბარია მათ უფლებებზე, ვალდებულებებზე, გადაწყვეტილებების გასაჩივრებაზე. დირექტორს ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პირები, რომელიც პასუხისმგებელია მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე. სკოლას ჰყავს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც მოსწავლეებისა და პერსონალის უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტორია. წარმოდგენილი დოკუმნტაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართები
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის 2023-2024 წლების სასკოლო სასწავლო გეგმა
საინფორმაციო დაფა
დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმები; დირექტორის ბრძანებები.
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის სკოლის შინაგანაწესი
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის გასაჩივრების ინსტრუქცია
შეესაბამება
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები.
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და უკუკავშირის მიღება ხდება შემდეგი არხების გამოყენებით: სკოლას გააჩნია პედაგოგთა ფბ-გვერდი, მესენჯერი, საინფორმაციო დაფა, საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა Eflow, TEAMS-ის პლატფორმა თავისი ელექტრონული ფოსტებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, დისციპლინური კომიტეტი, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლაში ვიზიტის დროს მოძიებული მასალებით( სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოს,მრჩეველთა საბჭოსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები). სკოლაში აპრობირებულია სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა სასკოლო ცხოვრების ყველა სფეროში - ბიუჯეტირება, დაგეგმვა, სწავლა-სწავლება და სხვ. მიღებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პრაქტიკა(ინტერვიუები, ანკეტირება) მშობელთა, მასწავლებელთა , მოსწავლეთა გამოკითხვის დამადასტურებელი სქრინები წარმოდგენილია სკოლის მიერ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართი ხარისხის განვითარების ჯგუფის ოქმი
მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
სამეურვეო საბჭოს ოქმები, პედსაბჭოს ოქმები
სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ინტერვიუ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება
3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა
1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა, კერძოდ სკოლა ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმით უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას (კერძოდ, სასკოლო წესრიგის უზრუნველყოფა,), საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელიც მოქმედებს „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის " შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით და შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და სკოლას ჰყავს დარაჯები და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს 24 საათის განმავლობაში. კონტროლი ხორციელდება ვიდეო კამერების საშუალებითაც. სკოლაში არის მრჩეველთა საბჭო, მოქმედებს უცხო პირთა გადაადგილების წესი. სკოლას აქვს სრულად აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და ჰყავს ექთანი. სკოლას ჰყავს 1 სპეცმასწავლებელი და სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

**სკოლას არ აქვს შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის საქაშეთის საჯარო სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია რომლის თანახმადაც, სკოლა აღნიშნულ პრობლემას მოაგვარებს 2023 წლის 24 აგვისტოდან 2024 წლის 24 აგვისტოს ჩათვლით. ექსპერთა ჯგუფი დაეთანხმა სკოლის არაგუმენტირებულ პოზიციას და აღნიშნული გარემოების გამო, ინდიკატორი განისაზღვრა, როგორც სტანდარტთან მეწილად შესაბამისი.**

2. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აწყობს სხდომებს (დასტურდება სხდომის ოქმებით). გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შემუშავებულია სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად სპეციალური ინსტრუქციები. სკოლის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე ზრუნავენ მორიგე მასწავლებლები, ვიზიტორთა ჟურნალში აღირიცხება სკოლაში შემომსვლელი სხვა პირები და ვიზიტის მიზანი. შესაბამისად, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტს.

3. სკოლა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შეშესაქმნელად სხვადასხვა მიმართულებით აქტიურად მუშაობს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, მასწავლებლების და სკოლის ადმინისტრაციის აქტიურობა, რომელთა ინიციატივითა და აქტიური ჩართულობით ჩატარდა არაერთი კლასგარეშე აქტივობა . მაგ. ტრეინინგები ბულინგისა და კიბერბულინგის თემაზე. ტრენინგის ფარგლებში მოსწავლეები გაეცვნენ ბულინგის სახეებს, ბულინგიის ამოცნობისა და პრევენციის ხერხებს. შეიუმუშავეს რეკომენდაციები ბულინგის პრევენციისთვის. სკოლა მუშაობს ანტიბულინგური გეგმის შექმნაზე, რომელიც მოზარდთა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტორი იქნება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან დასაცავად.

სკოლაში ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას განაპირობებს მოსწავლეებისადმი ჰუმანური დამოკიდებულება, ზრუნვა ბავშვთა უფლებების დაცვაზე ( ამ თემაზე ჩატარებული არაერთი შეხვედრა და სემინარი).

მოსწავლეთა თვითმართველობის დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ისინი ზრუნავენ საკუთარი უფლებების დაცვაზე, აქვთ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, მაგალთად, მასწავლებლებლებთან ინტერვიუს დროს არაერთმა მასწავლებლმა აღნიშნა, რომ მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად, შეცვალეს კომპლექსური დავალებების თემატიკა, ერთად შეიმუშავეს შეფასების სქემები და ა.შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა საგნის სწავლების ფარგლებში აქცენტი კეთდება მოსწავლეებისთვის სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების, ემოციებისა და ქცევის მართვის უნარების განვითარებზე. წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე ვასკვნით, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვას ინსტრუქციები სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით და გამოყოფილი ჰყავს მასზე პასუხიამგებელი პირი - სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლი პირი. დოკუმენტში გაწერილია ვალდებულებები: სასკოლო სივრცის დათვალიერება და სკოლის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების გატარება; დაზიანებული ნივთების შეკეთება; დირექტორის ინფორმირება; სახსრების არქონის გამო გადავადებული საქმიანობების ნუსხის შექმნა და ა.შ.
განსაზღვრულია გრაფიკი, როდის და როგორ უნდა დალაგდეს სკოლის სხვადასხვა სივრცე - საპირფარეშოები, საკლასო ოთახები, დერეფნები, ეზო და ა.შ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული იქნა „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა ვალდებულია მონაცემები მოსწავლის შესახებ შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრულის კანონიერი მიზნებისთვის და ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგიერთ მონაცემზე დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს, მაგ:ინფორმაცია მოსწავლის ჯანმრთელობის შესახებ; მოსწავლის რელიგიური შეხედულებები და ა.შ. სასკოლო კრებებზე დაუშვებლია მოსწავლის პირადი ინფორმაციის გასაჯაროება, მოსწავლის შესახებ ინფორმაცია მშობლს მიეწოდება პირადად.

ასევე სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ჰყავს პერსონალურ მონაცემებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით - პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, დადგენილი ნორმებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“ დოკუმენტის მიხედვით სკოლა ვალდებულია დაიცვავს მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება, რაც გულისხმობს როგორც ელექტრონულ, ასევე ფიზიკურ უსაფრთხობას ( დოკუმენტები განთავსებულია დაცულ ოთახში, რკინის კარადებში, მუშაობს სიგნალიზაცია).

ზემოთ აღნიშნული წესის თანახმად, სკოლა პასუხიმგებლია დაიცვას მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია უკანონო განადგურებისგან, შეცლისგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმითუკანონო გამოყენებისა და უკანონო განკარგვისაგან. სკოლა ასევე ვალდებულია დაიცვას მის ხელთ არსებული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა და იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საინფორმაციო Fb გვერდზე მოსწავლეთა სურათების ან მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების შემთვევაში არსებობს მშობლების თანხმობები.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

7. „სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“ დოკუმენტის მიხედვით სკოლა პერიოდულად ატარებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, შეფასებისთვის იყენებს დაკვირვებას, პასუხიმგებლი პირების ანგარიშებს, კითხვარებს მშობლებისთვის, მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებისთვის. აღნიშნული დოკუმენტების, ფიზიკური დათვალიერებისა და დაკვირვების შესაბამისად დგება SWOT ანალიზი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს გამოავლინოს არსებული პრობლემები და დასახნოს აღნიშნული მომსახურეობის გაუმჯობესების გზები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

დანართები:

„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა“
„სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა“
ხელშეკრულებები
შინაგანაწესი
უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის ბრძანება
ფოტოები(კამერები, ცეცხლმაქრი, საევაკუაციო გეგმა)
დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება
ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასების მასალები.
წერილი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინსფრატრუქტურის საგენტოსთან
განათლებისა ხარისხის განვითარების ცენტრის 2023 წლის 5 აგვისტოს წერილი N 1083616

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლა ავტორიზაციას გადის 175 მოსწავლეზე. მას 2015 წლის 29 ნოემბრიდან სსიპ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, უვადო სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ნაკვეთი საერთო ფართით 15503.00კვ.მ , რომელზეც დგას N1 სკოლის შენობა საერთო ფართით - 2898,37 კვმ , 2. საქვაბე და სათავსო საერთო ფართით 44,32 კმ.2. საპირფარეშო საერთო ფართით 6,37 კმ, 4.წყლის ავზი საერთო ფართი 6,30 კვ.მ.

სკოლის შენობა არის 3 სართულიანი, პირველ სართულზეა: საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, სკოლის ექიმის კაბინეტი, 3 სველი წერტილი (გოგნებისთვის, ბიჭებისთვის და 1 ადაპტირებული ), სტემის საგნების ლაბორატორია (ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ლაბორატორია ერთ ოთახშია განთავსებული) და კომპიუტერული ლაბორატორია, მეორე სართულზე განთავსებულია: სამასწავლებლო, დირექცია საკლასო ოთახები, 3 სველი წერტილი, მესამე სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები, სამი სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით, კარადებით და სასკოლო დაფით. ბიბლიოთეკაში დაცულია 811 ერთეული წიგნი: ბიბლიოთეკაში ინახება ყველა საგნის სასწავლო წიგნის თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, რუსულ ენოვანი და ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, პერიოდიკა და ა.შ. სკოლა ახორციელებს გაზეთი ,,ახალი განათლების'' შესყიდვას, რესურცენტრიდან იღებს ჟურნალ „მასწავლებელს,“ რომლის საშუალებითაც პედაგოგები და მოსწავლეები ეცნობიან განათლების სისტემაში მიმდინრე სიახლეებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. სკოლის ბიბლიოთეკაში მოცემულია ელექტრონული კატალოგიც, რომელსაც მოსწავლეები წიგნის ძიების დროს იყენებენ. ბიბლიოთეკარს აქვს სარეგისტრაციო ჟურნალი, სადაც გატარებული აქვს სკოლის წიგნადი ფონდი. თაროებზე წიგნები დაწყობილია ანბანური პრინციპით. ყველა წიგნს სკოლის ბეჭედი აქვს დასმული. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შექმნილია მყუდრო გარემო, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სასურველი წიგნის მოძიებაც და გაცნობაც. სკოლის ბუღალტერთან ინახება მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის გაფორმებული წიგნების მიღება-ჩაბარების აქტები.

სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, რომელთა გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მასწავლებელს.

სკოლაში ამჟამად სწავლობს 175 მოსწავლე. თითოეულ მათგანს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. გარდა ამისა, სკოლა დასაწყობებული აქვს 50 ინდივიდუალური მერხი და სკამი სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის.ინდიკატორი სტანდანდარტის შესაბამისია.

2. სკოლას აქვს სარეკრიაციო ზონა არაფორმალური განათლების კუთხით სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად.ამ მიზნით შესაძლებლია გარეთა ეზოს და სკოლის დერეფნის გამოყენებაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის, ბიბლიოთეკის, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სამუშაო გრაფიკში გათვალისწინებულია, როგორც საგაკვეთილო საათები, ასევე დრო სასკოლო საზოგადოების საქმიანობისთვის. დერეფნებში განთავსებულია საინფორმაციოს დაფები, შექმნილია საინფორმაციო და დასასვენებელი გარემო , რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სკოლას აქვს ადაპტირებული სასწავლო გარემო სსსმ მოსწავლეთათვის. სკოლაში შემოსასვლელ კიბესთან დამაგრებულია პანდუსი, ყველა სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. აღსანიშნავია, რომ პირველ და მეორე, მეორე და მესამე სართულებს შორის კიბეეზე არარის პანდუსი. თუმცა, დირექტორის განმარტებით და დათვალიერებით დასტურდება, რომ შშმ მოსწავლის სწავლებისთვის აუცილებელი ყველა პირობა შექმნილია პირველ სართულზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო - კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას, სკოლის სამივე სართულზე მოწყობილია სასკოლო საზოგადოებისთვის დასასვენებელი, საინფორმაციო და კულტურული აქტივობებისთვის სივრცეები. კერძოდ, ამ მიზანს ემსახურება ყველა სართულზე განთავხებული ფოიე, მეორე სართულზე განთავსებული ბიბლიოთეკა, კომპიუტერულ ლაბირატორიაში მოსწავლეებს შეუძლია საკუთარი ინტერესის შესაბამისად გამოიყენონ აღნიშნული რესურსი. საკონფერენციო ოთახი და ა.შ. სკოლას აქვს ეზო, სადაც არის გამოყოფილი სარეკრეაციო სივრცე მწვანე ნარგავებითა და სკამებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლას აქვს კურიკულუმით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსები:

ა) გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები;

ბ) საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები (ვიდეო, DVD, კომპაქტური დისკები);

გ) სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.);

დ) ბიბლიოთეკა, საკონფერენციო ოთახი , ბუნებრივი გარემო და სხვ.

მათემატიკა: საანგარიშო, მაგნიტური დაფა, რიცხვები მაგნიტური სამაგრით, ბრტყელი გეომეტრიული ფიგურები მაგნიტური სამაგრით, სახაზავი, სანტიმეტრი, საათი, წამზომი, თერმომეტრი და ა.შ

ქართული: ქართული ანბანი, ბიოგრაფიული თვალსაჩინოებები და ა.შ

საზოგადოებრივი მეცნიერებები: რუკები, ნახევარსფეროების ფიზიკური რუკა, მაგნიტები, კომპასი, გლობუსი და ა.შ

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ლაბორატორიის სრული კომპლექტი, მულაჟების, პლაკატები, რეაქტივები და ა.შ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: ნატურიდან ხატვისთვის საჭირო სხვადასხვა თვალსაჩინოება, დაზგა, დეკორატიული და გეომეტრიული ფიგურები, მხატვრების ალბომები და პლაკატები, ფანქრები, სახატავი მასალები და ა.შ..
მუსიკა: პიანინოები, კომპაქტ დისკები, ქართული ხალხური საკრავების პლაკატები და ა.შ
სპორტი: ბურთები, ჭადრაკი დაფები, ჰულაჰუპები და სხვა.
სტანდარტი ინდიკატორის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:
დანართები
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
შენობა ნაგებობის სქემა
ბიბლიოთეკის და კომპიუტერული ლაბორატორიის დებულება
სკოლის რეაბილიტაციის დოკუმენტი
სასკოლო სახელმძღვანელოები
ექსპერტიზის დასკვნა, სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი
კომპიტერული ლაბორატორიის მოხმარების წესი, ფოტო მასალა

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სსიპ გორის მუნიციპალიტეტის საქაშეთის სკოლის ადგილზე დათვალიერების დროს ექსპერტებმა შეაფასეს სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა: სკოლას სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლას აქვს 30 ლეპტოპი 10 პერსონალური კომპიუტერი, 5 ერთეული პროექტორი და 5 ერთეული პრინტერი. გარდა ამისა, ამ ეტაპზე სკოლას დროებითი სარგებლობის უფლებით კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახში განთავსებულია 7 პერსონალური კომპიუტერი, პროცესორი და პროექტორი დანარჩენი კომპიუტერები განთავსებულია საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში. სკოლას ასევე აქვს მულტიფუნქციური და ლაზერული პრინტერები. სამასწავლებლო და რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. შესაბამისად, თითოეულ პედაგოგს აქვს შესაძლებლობა ამ რესურსის გამოყენებით გაკვეთილი ჩაატროს და თანამედროვე მეთოდოლოგიის გამოყენებით სრულფასოვანი სასწავლო პროცესი შესთავაზოს მოსწავლეებს, შესრულდეს სხვადასხვა აქტივობა, კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები ელექტრონული რესურსის გამოყენებით. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია მოიძიონ. სკოლა ელექტრონული საქმის წარმოებისთვის გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს - email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ეს რესურსი შესაძლებლობას იძლევა, სკოლამ სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო ინსტანციაში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესები დებულების სახით, რომელიც განთავსებულია სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხელმისაწვდომ ადგილზე. სკოლის პედაგოგებმა, დირექციამ, ადმინისტრაციამ გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა მათთვის ხელმისაწვდომია. ყველა კათედრა, სამასწავლებლო და რესურსოთახი, ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერითა და პროექტორით. სკოლის

კუთვნილებაა კომპიუტერული ტექნიკა, მულტიფუნქციური პრინტერები სკანირებისა და კოპირების საშუალებები. ეს ტექნიკა განთავსებულია სამასწავლებლოში, საგნობრივ კათედრებზე, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახსა და ადმინისტრაციის ყველა ოთახში. ამ რესურსს თანაბრად იყენებს როგორც თანამშრომელი, ასევე მოსწავლე. სკოლას ასევე ემსახურება IT სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურულ გამართულობაზე. შესაბამისად ,ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი:
ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
გამოკრული დებულებები
2022-2023 სასწავლო წლის ინვენტარიზაციის მასალები.
კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად
1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში საქმის წარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით. ყველა დოკუმენტი ტარდება ელექტრონლად, ამასთან სკოლას აქვს შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვადასხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლას ასევე აქვს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით.

სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. პირად საქმეებში შენახულია კანონით განსაზღვრული დოკუმენტაცია: დასაქმებულის პირადი განაცხადი, CV, პირადობის მოწმობის ასლი, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლი, ნასამართლეობის, სქესობრივი ძალადობისა და ნარკოლოგიური შემოწმების ცნობები, სტატუსის შესაბამისი სერტიფიკატი (პედაგოგის შემთხვევაში). დარაჯისა და დამლაგებლების პირად საქმეებში მოცემულია აღრიცხვის ფურცელი, პირადობის მოწმობის ასლი, პირადი განაცხადი.

მოსწავლის პირად საქმეში წარმოდგენილია - დაბადების მოწმობა ნოტარიულად დამოწმებული, მშობლის განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ასლები, ფოტო. ჯანმრთელობის ცნობები მოსწავლეთა ნაწილთან (საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან).

სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია კანონმდებლობით დადგენილი წესით, ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტს.

2. სკოლა ელექტრონული საქმისწარმოებისთვის გამოიყენებს email.mes.gov.ge, eflow.emis.ge. eschool.emis.ge. ასევე ამ მიზნითაც შესაძლებლია ელექტრონული ჟურნალის გამოყენებაც. ელექტრონული ჟურნალი, ერთი მხრივ, სასწავლო პროცესის ადმინისტრირებას შეუწყობს ხელს, მეორე მხრივ, ამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. ინდიკატორი სტანადარტის შესაბამისია.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - eschool.emis.ge. რომლის საშუალებითაც სკოლის მთელ პერსონალზე და მოსწავლეებზე გახსნილია ველი და რომელშიც თავმოყრილია მთელი ინფორმაცია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა, კანონით დადგენილ ვადებში, ყოველი წლის 10 დეკემბერს eflow.emis.ge. საშუალებით წარუდგენს ანგარიშს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს. ინდიკარორი აკმაყოფილებს სტანდარტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დანართი :
რეგისტრაციის ჟურნალი
eflow, eschool, outlook

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2.სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5.ვებ - გვერდი/ვებ- გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი". წესის თანახმად საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს სკოლის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.
სკოლის ელექტრონულ ფოსტა: sakasheti@mes.gov.ge და ოფიციალური სოციალური ქსელი facebook- საქაშეთის საჯარო სკოლა წარმოადგენენ სკოლის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფენ ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას. იგივე მიზანს ემსახურება ელექტრონული ჟურნალიც, რომელიც ამარტივებს კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის.
სოციალური ქსელი ხელს უწყობს ინფორმაციის გონივრულ ვადაში გავრცელებას და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:
ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის სკოლის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას;
ბ)საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის, სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის საჯაროობას; ამ ეტაპზე სკოლა მუშაობს ვებ -გვერდის შექმნაზე.
2.სკოლა სოციალურ ქსელებთან ერთად იყენებს თიმსის პლატფორმას. პედაგოგთა თქმით, ამ გვერდებზე ხდება სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის განთავსება ფორმალური, თუ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული თუ განსახორციელებელი აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე. აქ ზიარდება საგანმანათლებლო სტრუქტურებიდან შემოსული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია, ასევე სისტემაში მიმდინარე ცვლილებები, საგანმანათლებლო პროგრამებზე სხვადასხვა შემოთავაზებები და ა.შ. ინფორმაცია ზიარდება სანდო წყაროზე დაყრდნობით (წერილის ნომრის მითითებით, კონკრეტული ორგანიზაციის დასახელებით). სტანდარტი შესაბამისია ინდიკატორი.

3. სკოლას აქვს ელ. ჟურნალი, ელ. პლატფორმა - TEAMS და სოციალური გვერდები. დირექციის განმართებით, სასკოლო ელ. გამოკითხვები ამ სივრცეში მიმდინარეობს. მიმდინარე წელს გამოიკითხეს დირექცია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები შეფასების სისტემასთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს და ამავე გზით გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას.სტანდარტი შესაბამისია ინდიკატორი.

4. სკოლას აქვს საჯარო სკოლის ვებ.გვერდი. emis.mes.gov.ge -ზე, რომელიც ამ ეტაპზე სრულყოფის პროცესშია.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5 ვინაიდან, სკოლა ამ ეტაპზე მუშაობს სკოლის ვებ-გვერდის შექმნაზე , ვებ -გვერდის გეგმის თანახმად, მასზე განთავსდება სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.
ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):,
დანართი
საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მიწერილობა
სკოლის fb -გვერდი , TIMS-ის პლატფორმა,
ვებ- გვერდის გეგმა.

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება - ვაუჩერული დაფინანსება წელიწადში შეადგენს 196800 ლარს, სერთიფიცირებული მასწავლებელის დანამატი -166836 ლარია. სხვა საბიუჯეტო შემოსავალი 16632 ლარი შესაბამისად ბიუჯეტიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 380 358 ლარს,. ამ თანხას ემატება ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი 1020 ლარი და საბოლოოდ, სკოლის 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი შეადგენს 381 378 ათას ლარს. თანხის დიდი ნაწილი 381353 გათვლილია სკოლის მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და ტექპერსონალის ხელფასებზე. დანარჩენილი ნაწილი კი მოხმარდება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას, კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში შენობის მოვლა პატრონობისთვის( დასუფთავება ეზოს მოვლა) - გათვალისწინებულია 1050 ლარი, მცირე რემონტისთვის -1501 ლარი, სასკოლო ინვენტარის , საოფისე ტექნიკის, კომპიუტერების შეძენისთვის 3800 ლარი, სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსებისთვის 680 ლარი, მასწავლებელთა გადამზადებისთვის 3450 ლარი. მასწავლებლთა კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით სამივლინებო ხარჯებისთვის გამოყოფილია 1000 ლარი. შეიძლება ითქვას, მიუხედავად, იმისა, რომ სკოლა დეფიციტურია, ხარჯები აღემატება შემოსავალს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

( სკოლის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა, რომელიც დასტურდება შემდეგი დოკუმენტებით: სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტი(ოქმი წარმოდგენილია), სკოლის მიერ ბრძანებით დამტკიცებული 2024 წლის შესყიდვების წლიური გეგმა (პროექტი), წლიური და კვარტალური ბალანსები. სკოლას აქვს ბიუჯეტის მონაწილეობითი დაგეგმვის კომპონენტები - სასკოლო სუბიექტების ანკეტირება, მათი მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით, თუმცა კვლევის ანალიზი ჩატარების დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ დევს. სკოლას ჩატარებიული აქვს SWOT ანალიზი, განსაზღვრულის სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები დ წარმოდგენილ მასალებში არის დირექტორის ანგარიში გეგმის შესრულებაზე - სამეურვეო საბჭოს განრიგიდან დასტურდება, რომ სკოლის დირექტორი წარადგენს ფინანსურ ანგარიშს სკოლის ბიუჯეტის განკარგვასთან დაკავშირებით. ადგილზე მოვიძიეთ იმ სამეურვეო საბჭოს ოქმები, რომლებზეც მოხდა საჯარო სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება, სასკოლო სასწავლო გეგმის რესურსების ნაწილის შეთანხმება და დირექტორის მიერ ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
დანართი
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის სკოლის 2023 - 2024 წლის სასწავლო წლის საპროგნოზო ბიუჯეტის პროექტი
შესყიდვების წლიური გეგმა
SWOT ანალიზი
ბუღატრის სამსახურეობრივი ბარათები

შეფასება
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეფასება:
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; კერძოდ, სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. მანდატურის სამსახური თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებების, უსაფრთხოებისა და სკოლის შინაგანაწესის დაცვას. მოწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით, თვითმართველობის მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების თვალით დანახული პრობლემების გათვალისწინება და მათი მაქსიმალური ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, მოსწავლეთა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა. სკოლაში მოქმედებს რეფერირების პროცედურები, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას, გამოვლენილი ძალადობის შესახებ ინფორმაცია მყისიერად მიეწოდება სკოლის მანდატურს, რომელიც ახორციელებს რეფერირების პროცედურებს.

პესონალური ინფორმაცია დაცულია, გამოყოფილია პასუხიმგებელი პირი, მოსწავლის შესახებ ინფორმაციის გაცემა ხდება მშობლის თანხმობის საფუძველზე.

2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავს ინდივიდუალური გეგმის შემუშავების რეგულაციებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; კერძოდ, სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. ბუკლეტების და პოსტერების სახით, მოსწავლეებს ურიგდებათ საინფორმაციო ბროშურები, 112- ის შესახებ ინფორმაცია. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს ფეისბუქ გვერდი, სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. ყველა კლასის დამრიგებელს აქვს მესინჯერ ჯგუფი, სადაც გაწევრიანებულნი არიან მშოლები და იღებენ მათთვის საჭირო ინფორამაციას. სადამრიგებლო ჯგუფები ასევე შექმნილია თიმსშიც, სადაც ტარდება მშობელთა კრებები და აქტიურად ხდება მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და შინაგანაწესის პუნქტების განხილვა. სკოლის ყველ მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები. სკოლას აქვს საინფორმაციო ბროშურები(მოსწავლის უფლება-მოვალეობების შესახებ), რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. ყოველდღიურად დაწესებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვას. სკოლას მუშაობს ვებ-გვერდის შექმნაზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის,ისე მშობლის და სკოლის უფლებები და მოვალეობები. თუ მოსწავლე სარგებლობს რაიმე არასავალდებულო მომსახურეობით ასევე მის მშობელთან/წარმომადგენელთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეს, პირობებს, პროგრამას და მისი სპეციფიკას. მომსახურებისთვის დადგენილი საფასურების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია. სკოლის მისიას წარმოადგენს კულტურული, მრავალმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, რომლის ხელშესაწყობადაც სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით სერვისებს. კერძოდ, სკოლაში მოქმედებს ჭადრაკის, მუსიკის, ხელოვნებისა და ჟურნალისტიკის წრეები. აღნიშნული წრეები დიდი პოპულარობით სარგებლობს მოსწავლეებში და მათი უმრავლესობა აქტიურადაა ჩართული პრაქტიკულ მეცადინეობებში. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი მომსახურების სახეები, რომელიც წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. 2023-2024 სასწავლო წლისათვის, დამატებითი სერვისების შესახებ, სკოლა გაარგძელებს კმაყოფილების კითხვარების შევსების პრაქტიკას, რაც მას შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვისა და უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანას, ინდიატორი სტანდარტის შესაბმისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმა
სკოლის საინფორმაციო დაფა
სკოლის შინაგანაწესი
მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი
ხელშეკრულება სკოლასა და მშობელს შორის
მანდატურის ოქმი
მშობლის თანხმობა პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროვებაზე
პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დამტკიცებული დოკუმენტი, სადაც გაწერილია კანონის შესაბამისი რეგულაციები. მოსწავლის ჩარიცხვა, მობილობა, საფეხურის დაძლევა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა ხდება საქართველოში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში მოსწავლისათვის სტატუსის შეჩერება მხოლოდ საზღვარგარეთ წასვლის საფუძვლით მოხდა.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მოქმედებს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციებით; იღებს განცხადებებს, არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში, გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებლის აქტს, მუშაობს eflow და eschool-ის ბაზაში. მიმართავს წერილობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანოებს საჭიროებიდან გამომდინარე. ბრძანების შაბლონს წერს სისტემაში, ტვირთავს ტიტულიან დოკუმენტს. მატერიალურად დოკუმენტები გატარებულია რეგისტრაციის ჟურნლში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი; აღნიშნული ინფორმაციის დიდი ნაწილი განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში. საინფორმაციო დაფებზე, სკოლის fb გვერდზე.
სკოლაში არ არის იჯარით გაცემული ფართი და არ ფუნქციონირებს სასკოლო წრეები, ბუფეტი, თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას კვების ბლოკის ამოქმედებისათვის და აქვს შესაბამისი ფართი. სკოლაში ფუნქციონირებს უფასო კლუბები: ქიმიის კლუბი „ ქიმიური ვულკანი“ და ინგლისური ენის კლუბი „BOOK CLUB”. კლუბებს აქვთ წესდება და სამოქმედო გეგმა. განხორციელებული აქტივობები მშობლებს მიეწოდება სოციალური ქსელით და სკოლაში ფოტო ან სამუშაო მასალის გამოკვრით.
სკოლის კანონმდებლობის, კერძოდ, შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, დღის რეჟიმი, საგაკვეთილო ცხრილის და ა.შ. გაცნობა დასტურდება საჯაროდ სივრცეში გამოკვრით და კლასის დამრიგებლების მიერ კლასის და მშობელთა შეხვედრების ოქმებით. ასევე სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია სკოლასა და მშობელს შორის წარმოშობილი ურთიერთობები სასკოლო სივრცეში. დამრიგებლისა და მშობლების კომუნიკაცია ხდებ,ა როგორც პირისპირ, ასევე ონლაინ, სოციალური ქსელით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.
სკოლას აქვს შემუშავებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებასთან ურთიერთობის პასუხისმგებელი პირი, სკოლის გარე და შიდა კომუნიკაციის მექანიზმები, ინფორმაციის გავრცელების ხერხები (ინტერნეტ სივრცე-ელექტრონული ფოსტა, სოციალური ქსელი, საიფორმაციო დაფა).
სერვისების შესახებ ინფორმაციას მშობლები ღებულობენ ასევე კლასის დამრიგებლებისგან პირდაპირი კომუნიკაციით ან სოციალური ქსელით. სკოლა მუდმივად გასცემს განახლებულ ინფორმაციას სასკოლო თემში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობელთან ურთიერთობის წესი არეგულირებს სკოლასა და მშობელს შორის კომუნიკაციის პროცესს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი,
მოსწავლის ჩარიცხვა-ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ბრძანებები,
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,
მშობელთან ურთიერთობის წესი,
ფოტო მასალა,
სოციალური ქსელი,
ვიზუალური დათვალიერება, მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება,

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები
4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლას აქვს დამტკიცებული ეფექტური ტრანზაციისა და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფის დოკუმენტი, რომელშიც უმთავრესი აქცენტები კეთდება მშობლის მზაობაზე და შვილის ახალ გარემოსთან შეგუების რეკომენდაციებზე. სასკოლო მზაობისათვის გაკეთებული აქცენტები ზოგადია, არ მოიცავს სკოლის ქმედებების კონკრეტულ ნაიჯებს, აქცენტები გაკეთებულია პირველკლასელებზე, არ ჩანს რა პროცესებს ახორციელბს სკოლა მოსწავლის მობილობის შემთხვევაში. დამრიგებლის დებულებაში არ არის დაკონკრეტებული ახალი მოსწავლის მიღების და ადაპტაციის წესი. თუმცა შემუშვებულია ანკეტირების ფორმა ეფექტური ტრანზაციისათვის. სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მმოსწავლის მიღების და სასკოლო გარემოს მოწყობის მექანიზმები . სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის იქმნება ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ან/და დამატებითი სასწავლო პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ხორციელდება მისი სწავლება, სოციალური ადაპტაცია , ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია
2.სასკოლო სივრცე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე. საკლასო სივრცეები მოწყობილია ასაკთან შესაბამისად. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლას აქვს გახსნის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო სივრცეში მოსწავლეთათვის და მშობელთათვის შესაბამისი განწყობის შექმნას.
სკოლას ასევე გააჩნია ინდივიდუალური მიდგომები მომავალი პირველკლასეთა ეფექტური ტრანზაციისათვის. მაგალითად, სკოლაში ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, რომლის მსახიობები თავად მოსწავლეები არიან. აქვთ სამი მოქმედი სპექტაკლი. სპექტაკლზე იწვევენ სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებს, ათვალიერებენ სასკოლო სივრცეს. აღნიშნული ღონისძიება ხელს უწყობს მომავალი პირველკლასელების ადაპტაციას სასკოლო სივრცეში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიღწევების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმავითარებელ კომენტარებს დაწყებით საფეხურზე, ხოლო საბაზო საფეხურზე განხორციელებული შემაჯამებელიდამ ერთი დავალება განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად ფასდება განმავითარებელი კომენტარით. მშობლები იღებენ ინფორმაციას მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე ინდივიდუალურ შეხვედრებზე და ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევენ საგნობრივ კონსულტაციებს.

აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესების მოტივაციის ასამაღლებლად სკოლა ახორციელებს საკლასო და სასკოლო პროექტებს, კონკურსებს, სპორტულ შეჯიბრებებს , სადაც მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული. აღნიშნული აქტივობა ავითარებს მოსწავლეების ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს და ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის განმტკიცებას. სკოლაში არ ჩანს სუსტი აკადემიური მოსწრების მოსწავლის ინდივიდუალური კონსულტირების ფორმა.

სსსმ მოსწავლეებისათვის წლის დასაწყისში მასწავლებლები სპეციალურ ფორმაში წერენ შეფასებას (კომენტარს) საგანში, სადაც მოსწავლის პროგრესს აკვირდებიან ყოველთვიური ჩანაწერით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

4.სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის დოკუმენტი და სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს მოსწავლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებას. მოსწავლეს უფლება აქვს ჩააბაროს ექსტერნის, სემესტრული და საშემოდგომო გამოცდა. სკოლა დროულად უზრუნველყოფს ყველა საორგანიზაციო ღონისძიებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა ქმნის ინკლუზიურ გარემოს, შიდა და გარე სივრცეებით ადაპტირებულია და ხელმისწავდომია; ყავს კვალიფიცირებული ადამიანური რესურსი, რომელიც ზრუნავს მოსწავლეთა ჩართულობაზე სასკოლო და სკოლის გარე აქტივობებში. ინიციატივების წარდგენა ხდება პირდაპირი კომუნიკაციით კლასის/საგნის მასწავლებელთან ან დირექციაში. ექსკურსიების განხორციელება ხდება შესაბამისი განცხადებისა და სავალდებულო დოკუმენტაციის საფუძველზე.

სკოლას ჰყავს კანონმდებლობით არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომლის ინიციატივით წლის განმავლობაში განხორციელდა რამოდენიმე ღონისძიება, თუმცა არ არის სამოქმედო გეგმა და თვითმმართველობის პორტფოლიო. სკოლის მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი პროექტები: საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, რომელშიც ჩართული იყო სასკოლო თემი და დაინტერესებული პირები; გამოფენა ,,შემოდგომის ფერები'', ეზოს გამწვანება სახელწოდებით ,,ხეები დედამიწისთვის“ და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელდა ღონისძიება მოწვეულ სპეციალისტებთან, კერძოდ , შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში კინოლოგ-ცხოველთა უფლებადამცველთან ; სოფლის ექიმთან ერთად განხორციელებული აქტივობა-პირველადი დახმარების გაწევისა და ვირუსული ინფექციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოსწავლეთა დიდი ინტერესის გამოსკოლამ განახორციელა ექსკურსია თავისუფალ უნივერსიტეტში და კოკაკოლის ქარხანაში.
სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი’’საკლასო პროექტები: „იყავი ნამდვილი მკითხველი“,“ნაადრევი ქორწინება ჩემს თემში“.
ევროპის სასკოლო სპორტის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სპორტული აქტივობები მშობელთა მონაწილეობით.
მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება ხდება მატერიალური ფორმით; სიგელებით, საჩუქრებით, საკანცელარიო ნივთებით.
საკლასო სივრცეში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს, თუ როგორ, რა მექანიზმებით ხდება მოსწავლეთა, მშობელთა და დაინტერესებულ პირთა უკუკავშირის საფუძველზე მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესება.
კლასის დამრიგებლის პორფოლიოს სადამრიგებლო გეგმა ითვალისწინებს საკლასო პროექტებს. დამრიგებლები აკეთბენ უკუკავშირს, რეფლექსიებს განხორციელებულ აქტივობებზე, წერენ განმავითარებელ კომენტარებს მოსწავლეებზე. მოსწავლეები აკეთებენ თვითშეფასებას . სკოლაში ჩატარდა ანკეტური გამოკითხვები კლასის ხელმძღვანელების მუშაობის შესაფასებლად. მშობლები მონაწილეობას იღებენ ელექტრონულ გამოკითხვაში(ფორმსის კითხვარები)
სკოლის დირექცია ხელს უწყობს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არაფორმალური აქტივობების განხორციელებაში. აწვდის მუდმივად ინფორმაციას საგანმანათლებლო პროექტებსა და პროგრამებზე (Easmus+, Flex, ).
სკოლა გამოხატავს მზაობას ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასება და უკუკავშირი აქციოს სამოქმედო გეგმის მოქმედ მიმართულებად და გამოიყენოს მომსახურების გასაუმჯობესებლად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ეფექტური ტრანზაციისა და აკადემიური პროგრესის უზრუნველყოფის დოკუმენტი,
საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმი,
მომავალი პირველკლასელთათვის ჩატარებული აქტივობის რეფლექსია,
ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება,
პროექტები, ფოტო მასალა , პროექტის რეფლექსიები,

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვის და კონსულტირების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის მოსწავლეებისათვის კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიების დაგეგმვის წესს. სკოლა გამოხატავს მზაობას მისცეს მოსწავლეებს საკუთარი შეესაძლებლობების გამოვლენის შესაძლებლობა და დაეხმაროს საკუთარი პროფესიული საჭიროებების განსაზღვრაში, მიაწოდოს მშობლებსა და ბავშვებს პროფესიების შესახებ ინფორმაცია. წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითვალისწინებს კონსულტირების ორ ეტაპს: კარიერული დაგეგმვის კონსულტაციას და ფსიქოლოგიურ კონსუტაციას. წესში არ არის დაზუსტებული პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის განხორციელებას. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც გაუწევს მოსწავლეებს ფსიქოლოგიურ კონსულტაციას. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯი ,,განთიად'' -თან რომლის ფარგლებში სკოლაში მიმდინარეობდა ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსი. კურსში მონაწილეობას იღებდნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში გამოყოფილია სივრცე, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლა საინფორმაციო შეხვედრებით პოპულარიზაციას უწევს რეგიონში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, განხორციელდა საინფორმაციო ექსკურსია სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და სკოლა გეგმავს აქტივობების გაფართოებას. პროფესიების გაცნობის მიზნით მოსწავლეებმა განახორციელეს ვიზიტი გორის ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში; პროფესიულ კოლეჯი „განთიადში" გორის თავდაცვის აკადემიაში; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში; გორის სამხატვრო სკოლაში და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ლაბორატორიებში.

სკოლა აპირებს კოლეჯებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობის გაფართოებას. ასევე გეგმავს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სკოლაში დანერგილია ანგარიშვალდებულების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურული ერთეულების ანგარიშის მიწოდებას სკოლის დირექციისათვის. სკოლა ასევე აწარმოებს მშობლთა და მოსწავლეთა გამოკითხვას კარიერული განვითარების შესაძლობების აქტიობების შესახებ. გამოკითხვა წარმოებს ელექტრონულ კითხვარების საშუალებით და იგი ანონიმურია . მიღებული ინფორმაციის დამუშავების შემდეგ ხდება გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება. ინდიკატორი სრანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
მემორანდუმი კოლეჯთან,
აქტივობების რეფლესიები; ვიზუალური დათვალიერება
სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მასალები.
შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დოკუმენტი, ინკლუზიური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ითვალისწინებს მათთვის საჭირო განსახორციელებელ ღონისძიებების ჩამონათვალს, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შინაარს, შემუშავების მეთოდსა და ფორმირების ეტაპებს, ისგ ჯგუფის შემადგენლობასა და მოკლე სამუშაო აღწერილობას. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შექმნილია ისგ ჯგუფი კანონის შესაბამისად. სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ბრძნებით დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი. სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ დასკვნის დაწერის საფუძველია მოსწავლის მშობლის მიმართვა.
სკოლა თანაბრად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის მოხდება განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სკოლაში ირიცხება ერთი სსსმ მოსწავლე. მოსწავლეს ემსახურება სპეციალური მასწავლებელი, რომელიც მუშაობს ინდივიდუალური გრაფიკით. შექმნილია ისგ ჯგუფი და შემუშავებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც მორგებულია მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე. ისგ.ჯგუფი ერთმანეთს ხვდება წელიწადში ოთხჯერ. მშობელთან კომუნიკაცია შვილის აკადემიური უნარების შესახებ ხდება როგორც პირისპირ, ისე სატელეფონო საუბრებით. მასწავლებლები წერენ მოსწავლეზე განმავითარებელ შეფასებას და ახორციელებენ ინდ. გეგმის მონიტორინგს შესაბამისი ფორმით. ასვე, შეხვედრებზე იხილავენ მოსწავლის შედეგებს, სასწავლო პროცესში ჩართულობას სახავენ გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ინკლუზიური პროგრამა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის,
ინკლუზიური განათლების პროგრამა და დებულება ,
ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ,
მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება,
მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა,
მასწალებლის მიერ პროგრესის შეფასების ფორმა,

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება ( კვების სერვისი,ტრანსპორტირების სერვისი) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე, ამ ეტაპზე სკოლა სთავაზობს 2კმ-ზე მეტ მანძილით დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეებს სატრანსპორტო მომსახურებას. სულ ხორციელდება 2 მარშრუტი „საქაშეთის დევნილტა დასახლება - საქაშეთის საჯარო სკოლა“ და „სოფელი ვარიანი - საქაშეთის საჯარო სკოლა“. ამ მომსახურებას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელსაც გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან უფორმდება შესამისი ხელშეკრულება. (იხ. დანართი ტრანსპორტირების ტაბელი) უნდა ავღნიშნოთ , რომ სკოლა აცხადებს მზადყოფნას მშობლთა თანხმობის შემთხვევაში კანონის დაცვით მოიძიოს შესაბამისი ორგანიზაცია ან ინდ. მეწარმე და აამოქმედოს კვების ბლოკი. . ტრანსპორტირების სერვისით სარგებლობს სულ 56 მოსწავლე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, გორის მუნიციპალიტეტსა სატნსპორტო ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულება განსაზღვრავს ორივე მხარის ვალდებულებებს მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ტაბელი ვარიანი -საქაშეთის საჯარო სკოლა
ტაბელი საქაშეთის დევნილთა დასახლება - საქაშეთის საჯარო სკოლა

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი განათლების საფეხურის კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის საფუძველზე, საგნობრივი კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმაში გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას სამივე საფეხურზე და ყველა საგანში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. ამ მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წევრების (მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია სასკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან, სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად შემუშავებულია კითხვარი და ტარდება გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორც კათედრაზე ისე კათედრებს შორისაც (მაგ: დაწყებითის და მათემატიკის კათედრა), ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმზე, მუშაობის დროს ითვალისწინებენ წინა წლის შედეგებს და გამოცდილებას.

კომპლექსური დავალებების შერჩევისას კათედრის თითოეული წევრი მონაწილეობს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მიმდინარე სასწავლო წელს მშობელთა და დირექციის წარმომადგენელთა უკუკავშირი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. მასწავლებლბთან ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით და სკოლის სოციალურ გვერდზე ვრცელდება ინფორმაცია კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ყოველდღიურად ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
კომპლექსური დავალებებით;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით;
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით;
საბაზო საფეხურის კურიკულუმით;
საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებებით.
შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.1.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**ქართული ენა და ლიტერატურა**
**დაწყებითი საფეხური**

1. როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ივკეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა. ინდიკარი სტანდარტის შესაბამისია.
2.კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის აქვს კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება. მოსწავლეებს სთავაზობენ ისეთი ტიპის კომპლექსურ დავალებებს, სადაც ისინი არიან შემოქმედნი, ახდენენ ცოდნის კონსტრუირებას და ქმნიან პროდუქტს, რაც განაპირობებს 6 გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო ენის კურიკულუმში გაწერილია სწავლების მიზნები; ამ ეტაპისათვის კურიკულუმი იხვეწება ახალი სასწავლი წლის დაწყებამდე. წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე ვასკვნით , რომ ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3.სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, დაწყებითი საფეხურიის სახელმწიფო ენის კათედრა იყენებს პორტალზე kargiskola.ge განთავსებულ ტესტებს, რომელთა საშალებითაც განსაზღვრავენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და შეიმუშავებენ აქტივობებს სწავლების დიფერენცირებისათვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ივკეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ასევე განმავითარებელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისათვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.წარმოდგენილ დოკუმენტაციაში - სახელმწიფო ენის კათედრის ოქმში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

**მათემატიკა**

**დაწყებითი საფეხური**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი, კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილად გვიჩვენებს , რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში და დავალებებიც ხელს უწყობს შესაბამისი უნარების განვითარებას. რითაც დასტურდება ინდიკატორის სტანდარტთნ შესაბმისობა.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში გამოჩნდა, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესი ისე აქვთ ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. აღნიშნული ფაქტით დასტურდება ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა.

3. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა).ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან.

4. ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს , კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო?. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**უცხოური ენები**

**დაწყებითი საფეხური**

1.წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე უცხოურ ენაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. ამასთანავე , გასულ წელს დაგეგმილი და განხორციელებული „წიგნის კლუბი“ ინგლისურ ენაში (VI-VII კლასის მოსწავლეებისთვის) წარმოადგენს ნათელ მაგალითს სასწავლო პროცესში რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ და ინგლისურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სანიმუშო დოკუმენტი, სადაც ჩანს სასწავლო ერთეულის დიფერენცირება სსსმ მოსწავლეზე, ასევე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, თუ როგორ ახდენს უცხოური ენის კათედრა მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებას და დავალებების ადაპტაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალების ანალიზის ნიმუში, სადაც იკვეთება ხარვეზი განმსაზღვრელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან (საფეხურის შედეგები და სამიზნე ცნებები) დაკავშირებით. კერძოდ მე-6 კლასი, შემაჯამებელი დავალება N1 და N4. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემაჯამებელი დავალებები უნდა მიმართებოდეს ცოდნის სამივე კატეგორიას. განმავითარებელი შეფასების რუბრიკად კათედრა იყენებს სოლო ტაქსონომიას. ეს რუბრიკა უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული და მისი გამოყენებით მასწავლებელს შეუძლია უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს მას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**საინფორმაციო ტექნოლოგიები**

**დაწყებითი საფეხური**

1. საგნობრივი კურიკულუმი შემუშვებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. გამოყენებულია და ეყრდნობა გზამკვლევ school.emis.ge -ზე მოთავსებულ თემატიკას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკმაყოფილებულია. გაწერილია ყველა კლასისთვის ოთხი კომპლექსური დავალების იდეა. სკოლის მიერ გადმოგზავნილია ერთი სრულად გაწერილი კომპლექსური დავალება. საგნის კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.შესაბამისად ინდიკატორი პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შემუშავებული კურიკულუმების ანალიზისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საგნორბივ კურიკულუმში გაწერილია ძირითადი ნაწილები. მიუხედავად იმისა რომ კლასის საგნის კურიკულუმში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოებამ (მასწავლებლებმა) დაგვანახეს მზაობა და შეგვიძლია ვთქვათ რომ სკოლას აქვს მზაობა და საგნის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს და აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითები ინკლუზიური განათლებისა და ინდივიდუალური გეგმის მიმართულებით. ინტერვიუს დროს მასწავლებელს მოყჰავს მაგალითები და აღნიშნავს, რომ სკოლას აქვს მზაობა მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა. კომპლექსური დავალების შესრულებით მოსწავლე ცოდნის სამივე კატეგორიის აკუმულირებას ახდენს, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს კონკრეტული დავალების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სქემები, რაც მიუთითებს სკოლის მზაობას განვითარდეს აღნიშნული მიმართულებით და შექმნას დავალებას მორგებული, კონკრეტული სქემები. -აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.გადმოგზავნილი კომპლექსური დავალების ანალიზის საფუძველზე ინტერვიუს დროს მასწვალებელი საუბრობს მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმვის პროცესში როგორ გაითვალისწინებს წინარე გამოცდილებას. სკოლას აქვს მზაობა და მცდელობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაანალიზოს მოსწავლეთა მიღწევები. მიღებული შედეგებითა და გამოცდილების გათვალისწინებით დაგეგმოს შემდეგი ნაბიჯები. რაც დასტურდება ინტერვიუს დროს. აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**

**დაწყებითი საფეხური**

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. მე და საზოგადოების და ჩვენის საქართველოს კურიკულუმებში ძირითად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების ,როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის საშუალებაზე.ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. საგნობრივი კურიკულუმებში ცალკეულ შემთხვევებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ასევე არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა. მაგ. მესამე კლასის საგანში „მე და საზოგადოება", პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. საზოგადოება; 2. ინსტიტუცია; მეორე თემაში არ მუშავდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამიზნე ცნებები 1. პიროვნება; 2. ზრუნვა; 3. ცვლილება; 4. საზოგადოება. მესამე თემაში არ მუშავდება 1. პიროვნება; 2. ზრუნვა; 3. ინსტიტუცია; 4. ცვლილება. მეოთხე კლასში იმავე საგანში, პირველ თემაში არ მუშავდება 1. პიროვნება; 2. ზრუნვა; 3. ინსტიტუცია; 4. ცვლილება. მეორე თემაში არ მუშავდება 1. პიროვნება; საზოგადოება; 3. ინსტიტუცია; 4. ცვლილება. მესამე თემაში არ მუშავდება არცერთი სამიზნე ცნება. რაც შეეხება საგანს „ჩვენი საქართველო“, მეხუთე კლასში არეულია სავალდებულო თემების ჩამონათვალი. ამასთან ერთად, თითოეულ თემაში მხოლოდ ერთი სამიზნე ცნება არის დამუშავებული. მეექვსე კლასის კურიკულუმი საერთოდ არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად გამოვითხოვე სკოლიდან, რაც არ დაკმაყოფილდა. აქედან გამომდინარე რთულია განვსაზღვრო, რამდენად სწორად წარიმართება მესამე თაობის ესგ-ს დანერგვა დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს ,რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. თვითშეფასების კითხვარში აღწერილია, რომ პედაგოგები ახდენენ მოსწავლეთა დიაგნოსტირებას და შედეგებიდან გამომდინარე გეგმავენ შესაბამის აქტივობებს. ახდენენ კომპლექსური დავალებების მოდიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს. ასევე წარმოდგენილია საგნისთვის - „ჩვენი საქართველო“ მე-5 და მე-6 კლასებისთვის შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც საჭიროებს დახვეწასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებას. რაც შეეხება განმავითარებელ შეფასებას, თვითშეფასების კითხვარში აღწერილია, რომ სკოლა ჩართულია USAID - ის საბაზისო განათლების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც მიმდინარე და გასულ სასწავლო წელს აქტიურად იყენებდნენ დიაგნოსტიკურ წერებს, რომელსაც აფასებდნენ განმავითარებელი კომენტარით. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა კურიკულუმის გადახედვა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც დასტურდება შევსებული თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

**ესთეტიკური აღზრდა**
**დაწყებითი საფეხური**

1.ესთეტიკური ციკლის კათედრაზე მტკიცებულებებით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულა მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2 . კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)აღწერისას ვკითხულობთ :შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი მიზნების შემუშავება სფეხურების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნების ფორმულირება მოხდება თემის ფარგლებში. აქ შუალედური მიზნის როლს ასრულებს: საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები." და იქვე ,,თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და რესურსებს.“

მტკიცებულებებით წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები ( მუსკა,სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI კლასები) მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნის სტანდარტების მოთხოვნებს. ძირითადად, გამოკვეთილია, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები.სახვით და გამოყენებითი ხელოვნების ზოგიერთ კლასის კურიკულუმში ზემოთ აღნიშნული სტანდართთან შესაბამისობაში მცირედი უზუსტობაა,თუმცა კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულები სრულად გააზრებული.

დაწყებითი საფეხურის ორივე საგნის ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას საგნის სწავლება დაგეგმილი აქვს კომპლექსური დავალებიდან კომპლექსურ დავალებამდე(მუსკია), ყველა თემის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს.

,,კათედრის გაერთიანებული ოქმი“- მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ჩამონათვალი მუსიკის საგანში:1. პირველ კლასში-სამყაროს ხმები მუსიკაში, 2. „ცხოველები მუსიკაში“ 3. მუსიკალური გასეირნება ქალაქში/ სოფლად 4. შემოთავაზებული ექვსი მუსიკალური თანხლებიდან სამი ვიდეორგოლისთვის მუსიკალური თანხლების შეჩევა 5. ზღაპრული სამყარო მუსიკაში 6. ადამიანის პორტრეტი მუსიკაში;

ხელოვნების საგანში: მე- 6 კლასში თემაზე ;,,მწვანე არქიტექტურა“.

მსგავის ტიპის დავალებებისას შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ ( სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა და ასევე სკოლის სოციალურ ქსელში (facebook) წარმოდგენილი აქტივობების ამსახველი მასალა.ზემოთ მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ რომ კურიკულუმები მიემართება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და დასტურდა ინდიკატორთან შესაბამისობა.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სასწავლო პროცესში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი ორივე საგანში(ხელოვნება/მუსიკაში) ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. როგორც ხელოვნებაში ასევე მუსიკის საგანში ჩარჩო კურიკუმებში განსაზრვულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია კომპლექსური დავალებები/შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია.

ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესი და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობეს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტიობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას, ამ მიართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში ,,ინკლუზიური განათლება“ მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი.ასევე სკოლის სასწავლო გეგმა (პროექტი) 2023-2024 სკოლის ფილოსოფიაში სკოლა აღნიშნავს რომ ,,სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, რომლის ფარგლებშიც ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლებას. ინკლუზიურობას ვუზრუნველყოფთ ადაპტირებული გარომოთი, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, დიფერენცირებული მიდგომით, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.“(ციტატა). ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები ( მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას-ფილმები, ოპერა, მუიზიკლი და სხვა) .დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საკოლო სასწავლო გეგმის და ორივე საგნის შეფასების რუბრიკების საფუძველზე ჩანს რომ შეფასება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით მიმდინარეობს. განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასება ხორციელდება როგორც რუბრიკებით ასევე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმში/მატრიცებში გათვალისწინებული კომლექსური დავალებები ინდიკატორებით,რაც მასწავლებლის განმავითარებელი შეფასების გამოყენების საფუძველს ადასტურება,ასევეა წარმოდგენილ მიმდინარე კომპლექსური დავალების დოკუმენტსიც ჩაშლილი კრიტერიუმები,რომელიც განმავითრებელი შეფასების ერთგვარ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კათედრამ წარმოადგინა კონკრეტული თემატური ბლოკის/თემის ფარგლებში შექმნილი და ზოგადი განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკებიც( საკითხის ფარგლბში შექმნილი შეფასების რუბრიკები,მე 5კლ, მე 6 კლ-მუსიკა და ხელოვნეებაში მე 6 კლასში (მიუხედავად მისი ზოგადი ხასიათისა)ასევე მე 6 კლასის მატრიცა (კომპლექსური დავალება კრიტერიუმებით) - ხელოვნება),ასევე ,,კათედრის გერთიანებული ოქმი“( 12 რესურსი) აღნიშნავენ რომ აქვთ გამოცდილება წერილობითი/ზეპირი კომენტარების წერის ელექტრონულ ჟურნალში დაწყებით საფეხურზე და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ჩამოყალიბების.(წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მუსიკის/ხელოვნების საგანში).ორივე საგანში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს,შეიძლება ითქვას რომ კათედრას აქვს მზაობა შეფასება, როგორც სწავლის პროცესის გაუმჯობესების საშუალებად მოიაზრონ, მიზანმიმართულად გამოიყენონ უშუალოდ სწავლის პროცესში და მოახდინონ მოსწავლეების მიღწევების შეფასება.ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინდიკატორი შეფასდა ,როგორც შესაბამისი.

5.სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, რომლის ანალიზის საფუძველზე ქმნის უკვე განახლებულ კურიკულუმს, აღნისნული დასაბუთებულია სკოლის სასწავლო გეგმის, ავტორიზციის განცხადის თვითსეფასების ფორმაში და საგნობრივ კურიკულუმში( მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მუსიკის კურიკულუმი, ხელოვნების მატრიცები და კურიკულუმი პირველ კლასში 2022-2023 სასწ.წლის და ახალი კურიკულუმები 2023 -2024 სასწ. წლის კურიკულუმი ორივე საგნში),მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე კურიკულუმის საფუძველზე დაგეგმილი მატრიცა(მუსიკა პირველი კლასი და ხელოვნება პირველიდან მე 6 კლასის ჩათვლით) და განახლებული კურიკულუმები, სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში ( მუსკიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება),ცხადყოფს რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოაგენს შუალედურ სასწავლო მიზანს და მიემართება საგნის სტანდარტს.

ამასთან, კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუზველზეშესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავასკვანათ, რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორი სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობაშია.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**
**დაწყებითი საფეხური**

1.შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებსა და კომპლექსური დავლაებების ნიუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას.ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია მოსწავლისთვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. სკოლა ჩართული იყო ზოგადი განათლების რეფორმაში და მუშაობდა კომპლექსური დავალებებით, გავეცანი 2022-2023 წლის კურიკულუმებს და შუალედურ სასწავლო მიზნებს. რომლებიც ისეა ჩამოყალიბებული, რომ უნდა იწვევდეს მოსწავლეეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითრებას, როგორიცაა შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია და სხვა. ახალი სასწავლო წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში 1-6 კლასი. ბუნებისმეტყველების სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები.კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში 1-2 საკითხზე.დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩო სრულადაა შევსებული. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სსსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშებიდან გამომდინარე, სადაც დეტალურად არის აღწერილი საგანთან მიმართებით სსსმ მოსწავლეების შესაძლებლობები, საჭიროებები, ინდვიდუალური სასწავლო მიზნები და ამ მიზნების განხორციელების გზები, ასევე სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებას და განხორციელებას, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს.ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

4. ბუნებისმეტყველებაში 1-4 კლასების მასწავლებელები შესაბამისად იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, როგორც ზეპირს, ისე წერილობითს, სემესტრისა და წლის ბოლოს. მე-5, მე-6 კლასებში კი შექმნილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.თუმცა, როგორც აღნიშნეს, ინტერვიუს დროს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად კვლავაც იყენებენ ასევე სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარებს. რომლის დროს სამიზნე ცნების მიმართ აღნიშნავენ მოსწავლის პროგრესს. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ასევე განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შევსებული ნიმუშები,რომლებიც მიემართებიან სამიზნე ცნებებს. სკოლა გეგმავს 2023-2024 სასწავლო წლისთვის გამოიყენოს შეფასების პირველი მოდელი, რაც კურიკულუმის მეთოდოლოგიურ ჩარჩოში აქვთ გაწერილი. შეფასების საშუალებით იგი ადგენს მოსწავლის აკადემიური მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებაში. აფასებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირების, ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენებისა და ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენების უნარს; ხოლო განმავითარებელი შეფასებით ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ცვლილებები აისახა, თუმცა ამისთვის აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. ეს სკოლას აღნიშნული აქვს მეთოდოლოგიის დამუშავების საკითხში.(შევისწავლე 2021-2022 წლის კურიკულუმები და ასევე 2023-2024 წლის კურიკულუმების ჩარჩოები. აღნიშნული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ესგ-ის სტანდარტებთან). თუ გავითვალისიწნებთ, რომ სკოლა 2019 წლიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", შეგვიძლია დავასკვნათ, საბუნებისმეტყველო კათედრა იყენებს/იყენებდა წინარე გამოცდილებას და პასუხობს ახალ გამოწვევებს.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი**

**დაწყებითი საფეხური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ფიზიკური აღზრდის დაწყებითი საფეხურის 1-6 კლასის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილია მე-3 თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად და საშუალებას იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე.
2. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ითვალისწინებს: სამიზნე ცნებების, რომელიცაა: ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას; გლობალური ფუნქციური უნარებსა (6 უნარი ) და საგნობრივი სტანდარტის შედეგებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს და ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესის ინკლუზიური მიდგომებს და სამომავლოდაც იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის საგანში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და სახვეწა რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4.განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები რუბრიკები ფიზიკური აღზრდის საგანში დაწყებითი საფეხურისათვის შემუშავებულია , ისე, რომ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და მიღებულ რჩევებს ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი, რომ სამომავლოდაც უზრუნველყონ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
საბაზო საფეხური

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
კომპლექსური დავალებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
სკოლის სასწავლო პროექტი,,ცხოვრების ჯანსაღი წესი“
სპეც მასწ.ანგარიში
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N1 06 09 2022
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N 2 28 12 2022
,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
**სახელმწიფო ენა**
**დაწყებითი საფეხური**

1.სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული (სამი სვეტი: თემა, ტექსტები, რესურსები). მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. პირველი და მეორე კლასებისათვის შესაქმელია 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი ახლად გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ასევე დასახვეწია სხვა კლასების კურიკულუმის ჩარჩოები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხოციელებისათვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას; ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარაჭერი სისტემის დანერგვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4.მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.
**მათემატიკა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დაწყებითი საფეხური**

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი (V კლასის მე-2 სემესტრიდან და VI კლასში )შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**უცხოური ენები**

**დაწყებითი საფეხური**

1. სასწავლო პროცესი მეტწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. არის თემები, რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და ასევე თემები, რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. ინდიკატორი სტანდარტთან შესაბამისობაშია.

2. საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.დაწყებითი საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა ნაწილობრივ უზრუნველყოფს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, განმავითარებელი შეფასება ეყრდნობა SOLO ტაქსონომიას, თუმცა არ ჩანს კონკრეტული ნიმუში როგორ იდენტიფიცირდება მოსწავლის მიღწევის დონე და შესაბამისი კომენტარი; ასევე, განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა დასახვეწია. კერძოდ, თემის ფარგლებში უნდა იფარებოდეს თითოეული სამიზნე ცნება და გათვალისწინებული უნდა იქნეს საგნობრივი სტანდარტის ინდიკატორები. მოცემული ნიმუშში კი იფარება ორი სამიზნე ცნება (ნაცვლად ოთხისა) და მიემართება საფეხურის შედეგებს.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა მეტწილად არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური. კერძოდ, ანალიზის საფუძველზე იკვეთება ურთიერთმიმართება რუბრიკას იცნობენ მოსწავლეები. შეფასება არის განსაზღვრული თითოეული ელემენტისთვის, თუმცა რუბრიკებში წარმოდგენილია ზოგადი ტერმინები (მაგ.; იაზრებს.. - 8ქ; კარგად იაზრებს ...-9 ქ; დავალებას ასრულებს მიზნის შესაბამისად - 9 ქ; სრულყოფილად ასრულებს დავალებას -10 ქ.), რამაც შეიძლება მოსწავლეს გაუჩინოს ეჭვი მის ობიექტურობაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშის საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენის კათედრაზე ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას საჭირო ვადით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**საზოგადოებრივი მეცნიერებები**
**დაწყებითი საფეხური**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; სკოლას დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში : ,,მე და საზოგადოება" და „ჩვენი საქართველო,, საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეა არის განსაზღვრული კარგად ჩანს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება კონკრეტულ საკითხზე დაყრდნობით. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო (მე და საზოგადოება და ჩვენი საქართველო) დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული (თუმცა არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას). კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით ,რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლი წლისთვის თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე, სკოლაში იგეგემება შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმების მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი; ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ გეგმავენ მის შემუშავებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

**ესთეტიკის კათედრა**

**დაწყებითი საფეხური**

1.ესთეტიკური კათერის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები ( კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)აღწერისას ვკითხულობთ :შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი მიზნების შემუშავება სფეხურების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნების ფორმულირება მოხდება თემის ფარგლებში. აქ შუალედური მიზნის როლს ასრულებს: საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.“ და იქვე ,,თითოეული საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და რესურსებს.“

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. ესთეტიკური კათერის დაწყებითი საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექური დავალებები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე მსჯელობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)ნათლადაა წარმოდგემლი სკოლის ხედვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით ვციტირებ: ,,დაწყებითი საფეხური ხელს უნდა უწყობდეს საგანთა თანამიმდევრული სწავლა-სწავლების გზით მოსწავლის გონებრივ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას; საბაზისო უნარების – წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების...“ რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზრვრულ სასწავლო პროცესში.
2022-2023 სასწავლო წელს განხორცილებული აქვს სასკოლო პროექტი–„ცხოვრების ჯანსაღი წესი“ სადაც ჩართული იყო ორივე საგნი ( მუსილა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტის მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას, ამას სკოლის სოციალური ქსელზე(facebook) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც გვიდასტურებს (პროექტები:,,მამული, ენა სარწმუნოება” ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი.''
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.).
წამოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდართთან შესაბამისი.
3.ესთეტიკურ კათდრაზე, ორივე საგანში(მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასასწავლო პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმი(მიმდინარე და 2023 2024 სასწ.წლის) /მატრიცა და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებია წარმოდგენილი რაც გვაფიქრებინებს რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე,არამედ უნარების განვითარებაზეც, და ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში,მატრიცაში წარმოდგენილია თემის ინდიკატორების საფუძველზე შექმნილი კომპლექსური ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმები რაც გვაფიქრებინებს რომ განმავითარებელი შეფასების სასწავლო პროცესის ნაწილია.განსაზღვრელი შეფასების რუბრიკა,მცირედი უზუსტობებითაა წარმოდგენილი ,თუმცა ჩანს რომ მასწავლებელი იაზრებს განმსაზღვრელი შეფასების შექმნის სტრუქტურას.
კათედრის გაერთიანებული ოქმში აღნიშნულია რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(რაც დასტურდება დოკუმენტების სახით განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკებით,თუმცა განმავითარებელი შეფასების რუბრიკა არ აქვს წარმოგენილი(განმავითარებელი შეფასების როლზე და კომენტარის ჩამოყალიბების შესახებ მასწავლებელმა ინტერვიუზე ისაუბრა ))მოცემული მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე . ინდიკატორი შეფასდა ,როგორც სტანდარტის შესაბამისი.

4.საფეხურზე ორივე საგანში -ხელოვნება ,მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს.(კათედრის გაერთიანებული ოქმის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ორივე საგანში წარმოდგენილ კურიულუმებსა და მატრიცის ფორმაში ჩანს შეფასების კრიტერიუმები ასევე ავტორიზაციის მაძიებლობის თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი მუსიკის საგანში დაგეგმილი აქტივობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, წარმოდგენილია შეფასების რუბრიკები(ორივე საგანში)ინდიკატორი შეფასდა ,როგორც შესაბამისი

5. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ გეგმავენ მის შემუშავებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც სტანდარტის შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შენახვის წესის შესაბამისად. ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტის შესაბამისი.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**
**დაწყებითი საფეხური**

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია კურიკულუმების ჩარჩოები, სადაც მასწავლებლებს სწორად აქვთ მითითებული შუალედური ( საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თემის ფარგლებში სწორად არჩევენ საკითხებს და ისეთ კომპლექსური დავალების პირობას ქმნიან, რომლითაც ფარავენ ყველა ცნებას, რაც მიუთითებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის გამოწვევებისადმი მათ მზაობაზე. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აქვთ გათვალისწინებული, მაგ: მეხუთე კლასის კურიკულუმში არის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების იდეა, რომელიც ორიენტირებულია ჯანსაღი ცხოვრების მნიშვნელობის გააზრებაზე.მოგეხსენებათ რამდენად მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა და რარიგ სასიხარულოა, რომ ეს გაკვთილების ფარგლებშიც ხდება. მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, მის ფსქო-სოციალურ განვითარებაზე დადბითად იმოქმედებს ასეთი ტიპის კომპლექსურები, რაც იმედის მომცემია, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლის პიროვნულ განვითრებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ინდიკატორი სრტანდარტის შესაბამისია.

3. ბუნებებისმეტყველებაში შეფასების სისტემა იცვლება შეცვლილი სტანდარტის ინდიკატორების მიხედვით. ქოუჩინგის დროს მათ შექმნეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები კურიკულუმის მიხედვით განხორცილებული კომპლექსური დავალების ფარგლებში შეფასების ნიმუში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის მიხედვით, რასაც წინასწარ გავეცანი. პედაგოგებთან გასაუბრებისას კი შეგნებულად დავუთმე დიდი დრო „შეფასების" საკითხს. შეკითხვაზე, როგორ განმავითარებელ კომენტარებს აკეთებთ, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლის მოტივაციის მიზნით ჯერ ნამუშევრის დადებით ასპექტებზე აკეთებენ აქცენტირებას, შემდეგ კი გასაუმჯობესებელ მხარეზე და ამ მომენტსაც ფრთხილად ეკიდებიან, რომ მოსწავლისთვის არ იყოს „მტკივნეული." ამავდროულად აფასებენ მოსწავლის პროგრესს სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მასწავლებელების რეფლექსიებში ასევე შემაჯამებლის ანალიზებში იკითხება, რომ მასწავლებლები წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს. მაგალითად ინტეგრირებული გაკვეთილის აღწერაში ეწერა, რომ მასწავლებელმა გაკვეთილის დაწყებისთანავე გამოაკრა შეფასების კრიტერიუმები დაფაზე. ეს ძალიან კარგი აქტივობაა, რადგან მოსწავლეების ნდობას უნდა იწვევდეს შეფასების სისტემისადმი, მასწავლებლის ოქბიექტურობისადმი. ასევე რეფლექსიებში ვკითხულობ, რომ მოსწავლეებიც აფასებენ ერთმანეთს. დაწყებითის პედაგოგებმა წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალების ანალიზებიც. მთლიანობაში რთულია თქვა, რომ „შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში." თუმცა მე ასე მჯერა, რომ აღნიშნული ინდიკატორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოწვევაა მთლიანი სასკოლო სისტემისთვის საქართველოს მასშტაბით. მე ვხედავ პოტენციალს ბუნების პედაგოგებში, რომ დახვეწონ თავიანთი შეფასების სისტემები ამ კუთხითაც. ამიტომ ამ ინდიკატორის მოთხოვნის დაკმაყოფილებას მეორე სტანდარტის სხვა ინდიკატორების მოთხოვნებთან ერთად დადებითად ვაფასებ. შესაბამისად ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (2.2.2.4)- - მოსწავლეთა მიღწევების შესაფასებლად კათედრა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, 1-4 კლასის ჩათვლით ძირითადად განმავითარებელი შეფასებები არის ზეპირი კომენტარის სახით წლის ბოლოს განმავითარებელი შეფასებით. მე-5-6 კლასებში განმავითარებელი შეფასებისთვის ზეპირი კომენტარით შემოიფარგლებიან, თუმცა მათი დახვეწა აუცილებლია. კერძოდ, რუბრიკებში ნათლად უნდა იყოს ასახული რომელ სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ პედაგოგებმა ერთად შექმნეს სტანდარტზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების რუბრიკა. ერთობლივი მუშაობას კი „ცდომილებები" მინიმუმამდე დაჰყავს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას.

მასწავლებელითან გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი, ვერიფიკაციის მექანიზმი , როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტი სკოლას აქვს შემუშავებული , თუმცა ამ დოკუმენტით აქამდე არ მუშაობდნენ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებზე უკუკავშირს, განმავითარებელ ზეპირ კომენტარს და რეკომენდაციას აძლევენ. ხოლო მომდევნო სასწავლო წელს ვერიფიკაციის მექანიზმს გამოიყენებენ, რადგან ვხედავ მათ აქვთ მომავლის ხედვა.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ მოსწავლეთა მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. ეს პროცესი უფრო სპონტანურია. მეტად უნდა დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში.იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამის თქმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას მაძლევს სკოლის პოტენციალი, მისი განვითარებისკენ სწრაფვა და პედაგოგებთან ინტერვიუ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
კომპლექსური დავალებები;
სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
სკოლის საწავლო პროექტი,,ცხოვრების ჯანსაღი წესი“
სპეც მასწ.ანგარიში
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N1 06 09 2022
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N 2 28 12 2022
,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
კომპლექსური დავალებები;
სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სასწავლო პროექტი,,ცხოვრების ჯანსაღი წესი"
სპეც მასწ.ანგარიში
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N1 06 09 2022
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი N 2 28 12 2022
,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება" 2021 წ.
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
ინტერვიუ მასწავლებლბთან და დირექციასთან.
შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**
1.სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვკვლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
კათედრის სხდომის ოქმებით,
2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით
შეფასების რუბრიკებით;
კურიკულუმით
მასწავლებლებთან გასაუბრებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტეგრირებული გაკვეთილი გეგმა/ შეფასება- ანალიზი

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

**2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1,შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება, ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების რუბრიკა

განმავითარებელი შეფასება რუბრიკა,

საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება სამივე საფეხურზე და ყველა საგანში ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, შემაჯამებელი წერები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, კითხვების დასმა, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში არსებული კათედრები ყველა საფეხურზე იყენებენ შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლაში მასწავლებლები აქტიურად იყენებს დიაგნოსტიკურ ტესტებს, რომელიც ეხმარებათ როგორც შედეგის დანახვაში, ასევე პრობლემის აღმოჩენასა და მომავალში ახალი მიდგომებისა და სტრატეგიების დაგეგმვაში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლების თვითშეფასებით,

მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებით

კომპლექსური დავალებებით

მასწავლებლებთან ინტერვიუებით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ, წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზების შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: რევიზია დაგეგმე,განახორციელე,შ მონიტორინგი . ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა
კათედრების სხდომის ოქმები
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი 2. | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| საბაზო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.1<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.2<br>კურიკულუმის შემუშავება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.3<br><br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომპონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის საფუძველზე, საგნობრივი კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმაში გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას სამივე საფეხურზე და ყველა საგანში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. ამ მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია სასკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან, სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად შემუშავებულია კითხვარი და ტარდება გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორც კათედრაზე ისე კათედრებს შორისაც (მაგ: დაწყებითის და მათემატიკის კათედრა), ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმზე, მუშაობის დროს ითვალისწინებენ წინა წლის შედეგებს და გამოცდილებას.
კომპლექსური დავალებების შერჩევისას კათედრის თითოეული წევრი მონაწილეობს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მიმდინარე სასწავლო წელს მშობელთა და დირექციის წარმომადგენელთა უკუკავშირი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. მასწავლებლბტან ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით და სკოლის სოციალურ გვერდზე ვრცელდება ინფორმაცია კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ყოველდღიურად ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
კომპლექსური დავალებებით;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით;
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით;
საბაზო საფეხურის კურიკულუმით;
საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებებით.

შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.1.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
ქართული ენა და ლიტერატურა
საბაზო საფეხური
1.როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან და სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის კათედრის წევრებთან გასაუბრებით ირკვევა, კათედრა ახერხებს სასწავლო მიზნების განსაზღვრას სკოლის დირექციისა და კათედრის წევრების შეხედულებებისა და უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებების, პროექტების შეფასების გათვალისწინებით. სასწავლო წლის დასასრულს ანალიზდება წინა წლის და იგეგმება ახალი, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისი კურიკულუმი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ირკვევა, სახელმწიფო ენის საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; კათედრა იღებს ზეპირ უკუკავშირს მშობლებისაგან რაც ეხმარებათ არსებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემების აღმოფხვრაში. ასევე ითვალისწინებენ მოსწავლის კომპლექსური დავალების შემაჯამებელი კითხვარის ანალიზს: რა იყო მათთვის ყველაზე სახალისო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. იყენებენ წინასწარ შედგენილ კითხვარს, რომელიც უშუალოდ ამ პროცესზეა ფოკუსირებული. მიღებულ ინფორმაციას იყენებენ მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვისათვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სტადარტი დაკმაყოფილებულია.

4. საბაზო საფეხურზე უკვე შექმნილი კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრებთან: კათედრაზე, მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების სახით. სკოლაში მიმდინარეობს ახალი კურიკულუმების დახვეწის პროცესი და იგეგმება ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასკოლო საზოგადოების უფრო აქტიური და ეფექტური ჩართულობა.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.წარმოდგენილ დოკუმენტაციაში - სახელმწიფო ენის კათედრის ოქმში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

საბაზო საფეხური

1.სკოლის მიერ წარმოდგენილი, კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები ნამდვილად გვიჩვენებს , რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი შემოქმედებით პროცესში და დავალებებიც ხელს უწყობს შესაბამისი უნარების განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალებაში გამოჩნდა, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების და პროდუქტის შექმნის პროცესი ისე აქვთ ორგანიზებული, რომ გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართულია სამიზნე ცნებების გააზრებაზე, სადაც ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

3. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა).ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს , კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო? ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, სკოლა მონაწილეობდა მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ შთ პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშრებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## უცხოური ენები

საბაზო საფეხური

1. შემუშავებულ კურიკულუმში ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი შუალედური მიზნები საინტერესო თემებით და დავალებებითაა მოცემული. მაგ: ინგლისურ ენა, მე7 კლ მე5 თავი, საკითხი- ბლოგპოსტი თემაზე: „დისციპლინის საკითხები საქართველოსა და ინგლისის სკოლებში“. მოცემულია ძალიან საინტერესო რესურსი (მაგალითი შედარებისთვის) აღნიშნულ თემაზე ბრიტანეთის სკოლების გამოცდილებაზე. თუმცა, საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი შუალედური დავალებები ატარებს ფრაგმენტულ ხასიათს და საჭიროებს განვითარებასა და გამრავალფეროვნებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. წარმოდგენილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძლევადიან მიზნებს. კურიკულუმი, რომელიც აგებულია გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე, პასუხობს გრძლევადიანი მიზნებს ( მაგ ინგლისური ენა-მე-9 კლ; რუსული ენა - მე8 და მე9 კლასები) . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საშუალებას საკუთარი შესაძლებლობების და გამოცდილების გათვალისწინებით ააგოს ახალი ცოდნა და მასწავლებელს კი მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით დიფერენცირებულად წარმართოს სასწავლო პროცესი ( მოახდინოს დავალებების ადაპტაცია), მათ შორის სსსმ მოსწავლეებთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. შეფასებები ნაწილობრივ მიემართება გრძელვადიან მიზნებს და ორიენტირებს. კათედრა 2023-24 წლიდან გადადის შეფასების მეორე მოდელზე. მათ მიერ წარმოდგენილ განმსაზღვრელი შეფასების სანიმუშო რუბრიკებში როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში არ იკვეთება თითოეული სამიზნე ცნების დამუშავება თემის ფარგლებში. ამასთანავე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი რუბრიკები საჭიროებს საგნობირივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორების გათვალისწინებას. იმდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## საზოგადოებრივი მეცნიერებები

საბაზო საფეხური

1.საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში ძირითად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. საგნობრივი კურიკულუმებში ცალკეულ შემთხვევებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ასევე არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა. მაგ. მე-7 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში სამიზნე ცნებები და შესაბამისი საკითხი/საკითხთა კლასტერიარ არის სრულყოფილად წარმოდგენილი. არ ჩანს რომელი საკითხებით დაამუშავებს მასწავლებელი სამიზნე ცნებებს. ასევე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ არის მითითებული სახელმძღვანელოდან შესაბამისი პარაგრაფები. მხოლოდ ერთი თემა-აფრიკა აქვს წარმოდგენილი კურიკულუმში, დანარჩენი 3 თემა არ არის დამუშავებული.
მე-8 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში მხოლოდ 1 თემა-სამხრეთი ამერიკაა წარმოდგენილი, რომელშიც ორი სამიზნე ცნება მუშავდება. არ ჩანს დანარჩენ ცნებებს რომელი საკითხებით დაამუშავებს მასწავლებელი.
მე-9 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში ერთი თემაა წარმოდგენილი, რომელშიც მართალია ოთხივე სამიზნე ცნებაა მითითებული და ჩანს, რომ ორი კომპლექსური დავალებით მუშავდება მოცემული სამიზნე ცნებები, თუმცა არ ჩანს რომელი საკითხებით/პარაგრაფებით დაამუშავებს მასწავლებელი მოცემულ ცნებებს.
მე-7 კლასის ისტორიის კურიკულუმში თემა პრეისტორიის ფარგლებში მეორე საკითხად წარმოდგენილია „ნეოლითი“, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს სამი სამიზნე ცნება: 1. ისტორიული პროცესი 2. ძალაუფლება 3. საზოგადოება, თუმცა არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები და ქვესაკითხები, რაც აჩენს კითხვებს, მაგ. როგორ დამუშავდება სამიზნე ცნება „საზოგადოება“.
მე-7 კლასის მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. დრო და 2. ძალაუფლება. მეორე და მესამე თემაში რადგან წარმოჩენილია სვლა ერთი კომპლექსურიდან მეორესკენ და მეორედან მესამესკენ უნდა იყოს მითითებული ქვეცნებები და ქვესაკითხები, ასევე მაგალითები შედარებისთვის.
მე-8 კლასის ისტორიის კურიკულუმის პირველ თემაში არ ჩანს როგორ მუშავდება ორი სამიზნე ცნება 1. სივრცე და 2. ისტორიული მოვლენა/პროცესი, ასევე არ არის წარმოდგენილი ქვეცნებები და მაგალითები შედარებისთვის.
მე-8 კლასის მეორე თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები 1. დრო და 2. საზოგადოება. ასევე არ ჩანს რომელი ქვეცნებები მუშავდება კომპლექსური დავალების ფარგლებში. არც მაგალითები შედარებისთვის არის წარმოდგენილი. მე-9 კლასის პირველ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. დრო და 2. სივრცე.მეორე თემაში არ მუშავდება ცნებები 1. ისტორიული წყარო და 2. დრო. მესამე თემაში კი არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. ისტორიული წყარო 2. დრო 3. სივრცე და 4. საზოგადოება. ასევე არ არის წარმოდგენილი რომელი ქვეცნებები უნდა დამუშავდეს მოცემული კომპლექსური დავალებებით და არც მაგალითები შედარებისთვის არის წარმოდგენილი.
მე-7 კლასის მოქალაქეობის კურიკულუმში არ ჩანს როგორ დაამუშავებს მასწავლებელი სავალდებულო თემებს „ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ და „ეკონომიკური ურთიერთობები თემში“.
მე-8 კლასის პირველი თემაში არ ჩანს სამიზნე ცნება „მდგრადი განვითარება“.
მე-9 კლასის კურიკულუმში არ ჩანს მეოთხე სავალდებულო თემა-გარემოს დაცვა.
საბაზო საფეხურის გეოგრაფიის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებში არასწორად არის მითითებული სამიზნე ცნება- გეოგრაფიული კვლევა და ანალიზი. ინდიკატორი შეფასდა როგორც სტანდარტის შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს. თუმცა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, რასაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა კურიკულუმის გადახედვა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა, რაც დასტურდება შევსებული თვითშეფასების ფორმით და პედაგოგებთან ინტერვიუებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

## ესთეტიკური აღზრდა

საბაზო საფეხური

1.საბაზო საფეხურის საგნობრივი ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნად და თავისთავად ორიენტირებულა მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორთან მიმართებით დადგინდა შესაბამისობა.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024), სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)აღწერისას ვკითხულობთ: რომ შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მოკლე ვადიანი მიზნების შემუშავება სფეხურების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნების ფორმულირება მოხდება თემის ფარგლებში. აქ შუალედური მიზნის როლს ასრულებს: საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.“ და იქვე „თითოეული საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და რესურსებს.“

საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებზე დაყრდნობით ორივე საგანში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) მკაფიოდ ჩანს რომ, სასწავლო პროცესი იგეგმება საფეხურების მიხედვით განსაზღვრავრული საგნობრივი მოთხოვნების შესაბამისად , თემატური ბლოკების/თემების ფარგლებში, სადაც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საფეხურის შედეგი და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მასთან დაკავშრებული ქვეცნებები. თუმცა, სახვით და გამოყენებითი ხელოვნების მეშვიდე კლასის კურიკულუმში სტანდართთან შესაბამისობაში მცირედი უზუსტობაა.

საბაზო საფეხურის ორივე საგნის ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმებით დასტურდება რომ, სასწავლო პორცესში კომპლექსური დავალება განხილიება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი, კათედრას ორივე საგნის ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში ახლოციელებს კომპლექსურდ დავალებებს.

,,კათედრის გაერთიანებული ოქმი“ მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ განხორციელებული კომპლექსური დავალებების ჩამონათვალი საგანი მუსიკა: მე 7კლ.ძველი და ახალი მუსიკაში, მე 8 კლ. თაობები და მუსიკა, მე 9კლ.მითი და რეალობა მუსიკაში ხელოვნების საგანში:7 კლაში თემაზე; ,,ეპოქების სახასათო ნიშნები .ასევე წარმოდგენილია კომპლექსური დავალების ბარათი მე 7 კლასში(ხელოვნება)მსგავის ტიპის დავალებებისას შესრულებისას მოსწავლეს უწევს იაზროვნოს კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას შემქომედებითობა სჭირდება, გუნდურობა და ჯგუფური სამუშაო მისგან თანამშორმლობის უნარებსაც მოითხოვს, ხოლო დამოუკიდებელი მოწავლელის როლი, რეფლექსია და მეტაკოგნიცური სტრატეგიების გამოყენება, მის ხასიათს და პიროვნებას აყალიბებს. ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევი ხაზს უსვამს კომპლექსური დავალების როლს ამ უნარების გააქტიურებაში და მიიჩნევს, რომ თავისი ბუნებით ასეთი ტიპის დავალებები მოსწავლეებისგან ავტომატურად ითხოვს ყველა იმ უნარის არა მხოლოდ აქტივირებას, არამედ წაახალისებს მათ გაცნობიერებას, გააზრებულობასა და სრულყოფას.

სასკოლო პროექტის ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი‘‘ს ანგარიშში ჩანს, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები: თემატური გამოფენა, მოსწავლეების თემატური პოსტერების ნიმუშები, სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა მიემართება (პროექტი:,,მამული, ენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სარწმუნოება“ პროექტი: ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.)სწავლა სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლების მიერ სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა ფორმალური და არაფრორმალური აქტივობების შესახებ (სასკოლო პროექტები, ღონისძიებები და სხვ.) მსჯელობა. შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და ინდიკატორი შესაბამისობასია სტანდარტთან.
3.ესთეტიკურ კათედრაზე წარმოდგენილი საგნების ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საბაზო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზრულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია კომპლექსური დავალებები/შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი, საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებელთა მიერ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესისა და მოსწავლეების მიღწევების აღწერა, ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და ამის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენეცირებას, ამ მიმართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში „ინკლუზიური განათლება“ მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ასევე სკოლის 2023-2024 სასწვლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (პროექტი)აღნიშნულია,რომ „სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, რომლის ფარგლებშიც ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლებას. ინკლუზიურობას ვუზრუნველყოფთ ადაპტირებული გარომოთი, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, დიფერენცირებული მიდგომით, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.“
სპეც მასწ.ანგარიში მე 7 კლასის მოსწავლის ინდ გეგმასთან შედგენასთან და რევიზიასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნავს ყველა მასწავლებლის მათ შორის მუსიკა და ხელოვნების მასწასწავლებლის ჩართულობას ინდ გეგმის შედგენისას,გაანალიზდა მოსწავლის ზლიერი და სუსტი მხარეები და შემუშავდა მის შესაძლებელობბზე მორგებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ჩართულობას კონკრეტულ მოსწავლესთან მიმართებით,სემესტრის ბოლოს მოსწავლე შეფასდა დადებითად.
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 1 06 09 2022 -ინდივიდუალურ სასწავლო შესადგენად განისაზღვრა საკითხები როგორიცაა სასწავლო სტრატებიები,სწავლების შედეგები,აქტივობები რესურსები და სხვა( იხ.ოქმი) და დადგინდა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ყველა საგანში მათ შორის ესთეტიკური ციკლის საგნებშიც(ხელოვნება, მუსიკა)(თუმცა არცერთი საგნის მტკიცებულება არ არის წარმოდგენილი)
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 2 28 12 2022 საფუძველზე დგინდება, რომ განხორციელდა მოსწავლის შედეგების ანალიზი,მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლემ დაძლია საგნების ფარგლებში შემუშავებული საკითხები სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსწავლეს ესაჭიროება ინდივიდუალური მუშაობა და სხვადასხვა აქტივობების შეთავაზება სასწავლო პროცესის დიფერენცირებისას,საკუთარი ინტერესებისა და სწავლის ინდივიდუალური სტილის გათვალისწინებით მოცემული მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ რომ კათედრას ორივე საფეხურზე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სწავლის მიზნების გათვალსწინებით მოსწვალეზე მორგებული სასწავლო რესურსების და სასწავლო მასალის აქვს წარმოდგენილი(კურიკულუმი,მიმდინარე და მომავალი წლის მატრიცები), რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს.
ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგაბში ( მუსიკა, სახვითი და განოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. ესთეტიკური კათედრის მიერ საბაზო საფეხურზე, ორივე საგანში(მუსიკა,სახვითი და გამოუენებითი ხელოვნება) წარმოდგენილია საკითხზე მორგებული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,რომელიც მიემართება მიემართება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მათ ქვეცნებებს. ასევე „კათედრის გაერთიანებული ოქმი"(მე 12 რესურსი) ღნიშნავენ რომ აქვთ გამოცდილება წერილობითი/ზეპირი კომენტარების წერის ელექტრონულ ჟუნრალში დაწყებით საფეხურზე და განმსაზღვრელი/განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ჩამოყალიბების საბაზო საფეხურზე დასტურდება დოკუმენტირებულად(მუსიკის,ხელოვნების საგანში),კომპლექსური დავალების ბარათში (ხელოვნება)ჩაშლილია კომპლექსურის კრიტერიუმები,რაც საფუძველია განმავითარებელი შეფასების. შემაჯამებლის ანალიზის ფურცლებში(ორივე საგნის)იკვეთება შეფასების მიმარტება გრზელვადიან მიზნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„პროფესიული განვითარბისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ. თავი III მასწავლებლის შეფასება ,მუხლი 10 .მასწავლებლის საქმიანობის შეფასება , პუნქტი ზ) ვკითხულობთ (ციტირება) -საგნობრივი სასწავლო თემის ფარგლებში განხორციელებული სასწავლო პროცესის შეფასება და მასწავლებლის რეფლექსიის (თვითშეფასების) შეფასებას, ასევე „ფორმა 1:თვითშეფასების კითხვარი“-ს სახელით მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილია - განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების და უკუკავშირის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემული ზოგადი კრიტერიუმები,თუმცა არცერთი ეს დოკუმენტი არ მყარდება მტკიცებულებებით.

სპეც მასწ.ანგარიში აღნიშნულია, ყველა მასწავლებლის, მათ შორის მუსიკა და ხელოვნების, მასწავლებლის ჩართულობა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას, გაანალიზდა მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შემუშავდა მის შესაძლებელობზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სემესტრის ბოლოს მოსწავლე შეფასდა დადებითად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.დასახელებული მტკიცებულებები: (2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი,სპეც მასწავლებლის ანგარიში,კათედრის გაერთიანებული ოქმი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ცხადყოფს, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს .

კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლების შეფასებას აწარმოებენ სამიზნე ცნებებთან მიმართებით.კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვს შეფასება- სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის; შეფასება, როგორც თავად სწავლის პროცესი; მიღწევების შეფასება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტის შესაბამის.ი

სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, რომლის ანალიზის საფუძველზე ქმნის უკვე განახლებულ კურიკულუმს, აღნიშნული დასაბუთებულია სკოლის სასწავლო გეგმის, ავტორიზციის განცხადის თვითშეფასების ფორმაში და საგნობრივ კურიკულუმში(მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი ,ახალი 2023-2024სასწავლო წლის კურიკულუმი ორივე საგანში.

სკოლის მიერ შემუშავებული ჩარჩო კურიკულუმები ორივე საგანში ( მუსკიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ცხადყოფს რომ სკოლამ გაითვალისწინა წინა წლის გამოცდილება, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალება წარმოადგენს შუალედურ სასწავლო მიზანს და მიემართება საგნის სტანდარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, კათედრასთან ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ , რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორი სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობაშია.

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საბაზო საფეხური

1.შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებსა და კომპლექსური დავლაებების ნიუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას.ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია მოსწავლისთვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადასხვა მოსაზრებების გაზიარება. ყოველივე ეს მაძლევს საშუალებას გავაკეთო დასკვნა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება და ასევე ხორციელდება მოსწავლეზე ორიენტირებულად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები. კურიკულუმის ჩარჩოებში სწორადაა წარმოდგენილი ცნებები, ქვეცნებები, ქვესაკითხები. კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში 1-2 საკითხზე. წარმოდგენილი ონლაინ რესურსებიც (რაც გაიხსნა კომპიუტერში) საინტერესოა და კოგნიტიური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, ისეთ თემებსა და საკითხებს ეხება, ვფიქრობ კორელაციაში მოვა გლობალურ-ფუნქციური უნარების გააქტიურებასთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომს, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან,(სსსმ მოსწავლის ნამუშევრები, ნახატები, ნაწერძები, მარტივი კოგნიტური სქემები) აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს.თუმცა ამ მიმართულებით ბევრი სამუშაო ჩასატარებელი, რადგან განვითარება უწყვეტი პროცესია და აღნიშნული სფერო გამოწვევაა თანამედროვე სკოლებისათვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელებმა ინტერვიუში ისაუბრეს , რომ ძირითადად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარებს და სტანდარტულ შაბლონებს შეფასების რუბრიკას. ახალი სასწავლო წლისთვის ისინი შექმნიან სტანდარტის ინდიკატორებისა და სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების რუბრიკებს. ამ ეტაპისთვის კათედრამ წარმოადგინა მხოლოდ რამდენიმე ნიმუში შეფასების რუბრიკების, სადაც სწორად ჰქონდათ ასახული კრიტერიუმები და მოსწავლეთა მოლოდინები.(გთხოვთ იხილოთ მტკიცებულებებში)განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიემართებიან გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. კერძოდ, დაგეგმვის დროს ისინი იკრიბებიან და მსჯელობენ, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ უფრო კარგი შედეგები აჩვენა ბავშვებში, რომელმა ნაკლები და ცდილობენ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით შექმნან/განაახლონ კურიკულუმები. სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 წლის საგნობრივი კურიკულუმები და ახალი კურიკულუმის ჩარჩოები 2023-2024 წელი. შევამჩნიე, რომ ე.წ. ძველმა „წარმატებულმა კომპლექსურებმა" თავიანთი ადგილი იპოვეს ახალ კურიკულუმის ჩარჩოებში. რაც მისასალმებელია. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი**

საბაზო საფეხური

1. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე.

სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები;ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5. ინტერვიუს შედეგად, დასტურდება, რომ პედაგოგები აანალიზებენ, საკუთარ განხორციელებულ პრაქტიკას. უზიარებენ ერთმანეთს გაამოცდილებას და მიღებული რჩევევბს, ითვალისწინებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას, გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი .ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
კომპლექსური დავალებები;
სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეც მასწ.ანგარიში
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 1. 06. 09. 2022
ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 2. 28. 12. 2022
„პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.
მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სახელმწიფო ენა

საბაზო საფეხური

1. სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული (სამი სვეტი: თემა, ტექსტები, რესურსები). მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. დასახვეწია კურიკულუმის ჩარჩოები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისათვის; ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას;ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდამჭერი სისტემის დანერგვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4.მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.
5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მათემატიკა

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. მასწავლებლებმა წარმოადგინეს ისეთი დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეების მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, დავალებაში დასმული კითხვები ეხმარება მოსწავლეებს გაანალიზონ დავალების შესრულებისას რა გამოუვიდათ კარგად, რა გაუჭირდათ, რა უნდა შეცვალონ თავიდან, რომ იწყებდნენ მუშაობას, ეძლევათ საშუალება მონიტორინგი გაუწიონ სწავლის პროცესს (სწავლის სწავლა).ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. ცოდნის სამივე კატეგორიის გასავითარებლად სკოლა მიზანმიმართულად მუშაობს , კომპლექსური და კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები შემუშავებულია იმ პრინციპით, რომ მოსწავლემ პასუხი გასცეს შემდეგ კითხვებს: რა ვიცი? როგორ განვახორციელო? როდის რა კონტექსტში უნდა გამოვიყენო?(ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

5.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის მიერ წარმოდგენილ დავალებებში გამოჩნდა, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს აძლევს საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლის საშუალებას. ამ მიმართულებით სკოლას აქვს კარგი გამოცდილება. ინტენსიურად ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები და მომავალშიც იგეგმება ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება, სკოლა მონაწილეობდა მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ შთ პროექტებში, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშრებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

### უცხოური ენები

საბაზო საფეხური

1.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. თუმცა, არის თემები,რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ , აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.უცხოური ენების კათედრა გეგმავს ჰოლისტური შეფასების ფორმას. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა და სოლო ტაქსონომიის რუბრიკა, როგორც განმავითარებელი შეფასებისთვის გამოსაყენებელი ინსტრუმენტი, კარგი ინსტრუმენტია წინარე შედეგებთან წინსვლის დასადგენად.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. 2023-24 სასწავლო წლისთვის საბაზო საფეხური გადადის განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელზე. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკის ნიმუშით შეგვიძლია დავადგინოთ რომ არის სამართლიანი, თუმცა არსებული მოცემულობით მის ვალიდურობასა და სანდოობას ვერ დავადგენთ, ვინაიდან საჭიროებს რედაქტირება/შესწორებებს თემის ფარგლებში საფეხურის გრძელვადიანი სამიზნე ცნებების და შეფასების ინდიკატორების გათვალისწინებით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. კერძოდ სკოლაში ხდება შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. ინტერვიუს პროცესში დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის /ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს ხარისხის მართვის ჯგუფი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. როგორიცაა, მოსწავლის პირადი საქმე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

### საზოგადოებრივი მეცნიერებები

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა წევრი ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ მე-7, მე-8 , მე -9 კლასის ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ კომპლექსური დავალებით. ინდიკატორი შეფასდა. როგორც შესაბამისი.

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული (თუმცა არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას). კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა. როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლი წლისთვის თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე, სკოლაში იგეგმება შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს, შესაბამისად შეფასების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, განმსაზღვრელ შეფასებას კი მხოლოდ შემაჯამებელი დავალებების შესაფასებლად გამოიყენებენ. ინდიკატორი შეფასდ.ა როგორც შესაბამისი.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმების მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც საბაზო საფეხურის პედაგოგები გეგმავენ შეფასების მეორე მოდელზე გადასვლითა და კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნით, რომელიც ზუსტად გაზომავს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ინდიკატორი შეფასდა. როგორც შესაბამისი.

5. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ გეგმავენ მის შემუშავებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. ინდიკატორი შეფასდა როგორ.ც შესაბამისი.

ესთეტიკის კათედრა

საბაზო საფეხური

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ესთეტიკური კათედრის საბაზო საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემატურ ბლოკებს, საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები ( კომპესური დავალებები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას. სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)აღწერისას ვკითხულობთ :შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლე ვადიანი მიზნების შემუშავება სფეხურების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნების ფორმულირება მოხდება თემის ფარგლებში. აქ შუალედური მიზნის როლს ასრულებს: საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.“ და იქვე „თითოეული საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და რესურსებს.“ამას ადასტურებს სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“- 15.01.2021-30.05.2021 წწ V.სამოქმედო გეგმა,სკოლის საწავლო პროექტის ანგარიში „ცხოვრების ჯანსაღი წესი“ და სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ესთეტიკური კათერის საბაზო საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება VII-IX კლასის ) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, თემები კომპლექური დავალებები, თემატური მატრიცა მუსიკაში, მუსიკის მე8 კლასის საგნობრივი პროგრამა,კომპლექსური დავალების ბარათი(მე 7 კლასი ხელოვნება ) ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შეჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ საკუტარ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე.
სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)ნათლადაა წარმოდგემლი სკოლის ხედვა საბაზო საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით ვციტირებ: „ საბაზო საფეხური ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლის დამოუკიდებელი სწავლის უნარისა და შრომისუნარიანობის განვითარებას, აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობას და საფუძველების შექმნას განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის ან შრომითი საქმიანობისთვის.“რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზრვრულ სასწავლო პროცესშიამასთან სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული აქვს პროექტი –„ცხოვრების ჯანსაღი წესი“ სადაც ჩართული იყო ორივე საგნი ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტის მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. ამას სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც გვიდასტურებს (პროექტები:„მამული, ენა სარწმუნოება” ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.).
წამოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.
3.ესთეტიკურ კათდრაზე, ორივე საგანში(მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასასწავლო პროცესზე ორიენტირებული კურიკულუმი(მიმდინარე და 2023 2024 სასწ.წლის) და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებია წარმოდგენილი რაც გვაფიქრებინებს რომ შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე, არამედ უნარების განვითარებაზეც, და ითვალისწინებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში,მატრიცაში წარმოდგენილია თემის ინდიკატორების საფუძველზე შექმნილი კომპლექსური ტიპის დავალების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრიტერიუმები რაც გვაფიქრებინებს რომ განმავითარებელი შეფასების სასწავლო პროცესის ნაწილია. განსაზღვრელი შეფასების რუბრიკა, მცირედი უზუსტობებითაა წარმოდგენილი(ხელოვნება) ,თუმცა ჩანს რომ მასწავლებელი იაზრებს განმსაზღვრელი შეფასების შექმნის სტრუქტურას.
კათედრის გაერთიანებული ოქმში აღნიშნულია რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(რაც დასტურდება დოკუმენტების სახით განმსაზღვრელ/განმავითარებელ შეფასების რუბრიკებით.
სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“- 15.01.2021-30.05.2021 წწ V.სამოქმედო გეგმა,წარმოდგენილია ის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას, რაც დასტურდება კიდეც სკოლის საწავლო პროექტის ანგარიშში წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობების ამსახველი თვალსაჩინოებით ,ასევე სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც გვიდასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე ზრუნვას(პროექტები:„მამული, ენა სარწმუნოება" ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.)
მოცემული მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე . ინდიკატორი შეფასდა ,როგორც შესაბამისი.
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
საფეხურზე ორივე საგანში -ხელოვნება ,მუსიკა ვიყენებთ როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებებს.(კათედრის გაერთიანებული ოქმის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები(მუსიკა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება). ორივე საგანში წარმოდგენილ კურიულუმების ჩაფორმაში ჩანს შეფასების კრიტერიუმები ასევე ავტორიზაციის მაძიებლობის თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი მუსიკის საგანში დაგეგმილი აქტივობების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, წარმოდგენილია ზოგადი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“- 15.01.2021-30.05.2021 წწ VI. მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის გეგმა, მონიტორინგის რამდენიმე ფორმაა წარმოდგენილი რაც გვაფიქრებინებს პროექტის შეფასების გამჭირვალებას, სკოლის საწავლო პროექტის ანგარიშშიც სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველ მასალებშიც დასტურდება შედეგის მიღწევა, წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობების ამსახველი თვალსაჩინოებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოცემული მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.ინდიკატორი შეფასდა ,როგორც შესაბამისი

5. სკოლაში ამ ეტაპზე მუშავდება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმები და სამომავლოდ გეგმავენ მის განხორციელებას.. ინდიკატორი შეფასდა, როგორც სტანდარტთან შესაბამისი.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შენახვის წესის შესაბამისად. ინდიკატორი შეფასდა, როგორც შესაბამისი.

**საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**

საბაზო საფეხური

1. კურიკულუმებში შუალედური ( საკითხი,კონტექსტ-მაგალითი, იდეა, კომპლექსური დავალების პირობა) და გრძელვადიანი (ცნებები, შედეგები) მიზნებიდან, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილი დამატებითი აქტივობების რესურსებიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, რომ მომავალ სასწავლო წელს სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ. აქვთ გამოცდილებაც, სკოლამ წარმოადგინა პროექტი"ჯანსაღი ცხოვრების" შესახებ, სადაც მკაფიო იყო მოსწავლის სოციო-ემოციურ განვითრებაზე ორიენტირებული აქტივობები, რაც მაფიქრებინებს, რომ პროექტული სწავლება არის კათედრის ძლიერი მხარე და მას გამოიყენებენ მოსწავლის კოგნიტური და სოციო-ემოციური განვითარებისთვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. კათედრის მიერ წარმოდგენილია მიმდინარე წლის საგნობრივი კურიკულუმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები და ასევე მომავალი წლის კურკულუმის ჩარჩოები, სადაც წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით უნდა შექმნას შეფასების რუბრიკები, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარებას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების, ექსპერიმენტების ჩატარებზე. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ბიოლოგიის და ფიზიკის მიხედვით, სადაც აქცენეტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით, რაც შეფასებას უფრო ვალიდურს ხდის.მაგალითისათვის, შეფასების რუბრიკებში კრიტერიუმები მიმართულია გრძელვადიან მიზნებს ანუ ცნებებს ე.ი. ხდება მოსწავლის წინსვლის შეფასება გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მასწავლებელითან გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი, ვერიფიკაციის მექანიზმი , როგორც სტრუქტურირებული დოკუმენტი არ არის, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებზე უკუკავშირს, განმავითარებელ ზეპირ კომენტარს და რეკომენდაციას აძლევენ. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ მოსწავლეთა მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. ეს პროცესი უფრო სპონტანურია. მეტად უნდა დაიხვეწოს, რადგან წარმოდგენილი მონაცემების შესწავლის შემდეგ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე ცვლილებები უნდა შევიდეს ახალ კურიკულუმში. იკვეთება მზაობა, რომ სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამის თქმის საშუალებას მაძლევს სკოლის პოტენციალი, მისი განვითარებისკენ სწრაფვა და პედაგოგებთან ინტერვიუ.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ფიზიკური აღრდა და სპორტი

საბაზო საფეხური

1. საბაზო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ინიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში საბაზო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულუმებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. ინიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. ინიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე. მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს( დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას. ინიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6. საბაზო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.ინიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალებები;
- სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
- სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“
- სპეც მასწ.ანგარიში
- .ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 1 06 09 2022
- .ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 2 28 12 2022
- „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი

ინტერვიუ მასწავლებლბთან და დირექციასთან.
შეფასება:
შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვავლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
კათედრის სხდომის ოქმებით,
2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით
შეფასების რუბრიკებით;
კურიკულუმით
მასწავლებლებთან გასაუბრებით.
ინტეგრირებული გაკვეთილი

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყნებებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასება, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება, ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების რუბრიკა
კათედრის სხდომის ოქმებით,
2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით
შეფასების რუბრიკებით;
კურიკულუმით

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

11. როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება სამივე საფეხურზე და ყველა საგანში ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, შემაჯამებელი წერები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, კითხვების დასმა, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლაში არსებული კათედრები ყველა საფეხურზე იყენებენ შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლაში მასწავლებლები აქტიურად იყენებს დიაგნოსტიკურ ტესტებს, რომელიც ეხმარებათ როგორც შედეგის დანახვაში, ასევე პრობლემის აღმოჩენასა და მომავალში ახალი მიდგომებისა და სტრატეგიების დაგეგმვაში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მასწავლებლების თვითშეფასებით,
მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებით
კომპლექსური დავალებებით
მასწავლებლებთან ინტერვიებით
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1.. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ, წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზების შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: რევიზია დაგეგმე, განახორციელე, მონიტორინგი. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.
შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
2023-2024 სასკოლო სასწავლო სასკოლო გეგმის პროექტი
კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია
კურიკულუმები
მონიტორინგის ჯგუფის ოქმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი 2. | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად) |
|---|---|
| საშუალო საფეხურის სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება) | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.1<br><br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.2<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.3<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| კომონენტი 2.4<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშაუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის საფუძველზე, საგნობრივი კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს და სკოლის თვითშეფასების ფორმაში გამოჩნდა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას სამივე საფეხურზე და ყველა საგანში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები, პედაგოგები თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ითვალისწინებენ სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, სამომავლოდ კი გეგმავენ შექმნან კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, მასში მკაფიოდ გაწერონ მონაწილეთა როლი და ჩართულობის ხარისხი. ამ მიზნით სკოლაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრების (მასწავლებლები, მშობლები,მოსწავლეები) მონაწილეობით. ამ ჯგუფის მიზანია სასკოლო საზოგადოების ინტერესების,შეხედულებების პრიორიტეტების გამოვლენა წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2.როგორც სკოლის მიერ მოწოდებული თვითშეფასების ფორმიდან, სხვა დოკუმენტაციებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა სასკოლო სასწავლო გეგმაში/კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და შეხედულებები. მშობელთა ინტერესების დასადგენად შემუშავებულია კითხვარი და ტარდება გამოკითხვა, საერთო სასკოლო პროექტის შერჩევის, საწრეო და საკლუბო საქმიანობის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შესაბამისად ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3.მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორც კათედრაზე ისე კათედრებს შორისაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(მაგ: დაწყებითის და მათემატიკის კათედრა), ისინი ერთობლივად მუშაობენ კურიკულუმზე, მუშაობის დროს ითვალისწინებენ წინა წლის შედეგებს და გამოცდილებას.
კომპლექსური დავალებების შერჩევისას კათედრის თითოეული წევრი მონაწილეობს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მიმდინარე სასწავლო წელს მშობელთა და დირექციის წარმომადგენელთა უკუკავშირი. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. მასწავლებლბთან ინტერვიუს დროს აღინიშნა,რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. წლის განმავლობაში ტარდება მშობელთა კრებები მათი ინფორმირების მიზნით და სკოლის სოციალურ გვერდზე ვრცელდება ინფორმაცია კურიკულუმის, სასკოლო პროექტის, შეფასების სისტემის, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებისა და სკოლაში მიმდინარე სხვა აქტივობების შესახებ. სასკოლო კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ყოველდღიურად ქვეყნდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით;
კომპლექსური დავალებებით;
განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით;
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით;
საბაზო საფეხურის კურიკულუმით;
საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალებებით.
შეფასება:
o გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქართული ენა და ლიტერატურა

საშუალო საფეხური

როგორც წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეზე, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე, თემების ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერის არეალთან ახლოსაა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.კათედრას შუალედური სასწავლო მიზნების განსაზღვრისათვის კომპლექსური დავალებების გამოყენების გამოცდილება აქვს მხოლოდ მე-10 კლასში, რადგან 2022-23 სასწავლო წელს საშუალო საფეხურზე პირველად დაინერგა სასწავლო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, ამ პროცესში კათედრა იკვლევს შედეგებს შემაჯამებელი დავალების ანალიზის საფუძველზე. მომავალი სასწავლო წლიდან დაინერგება ახლად შემუშავებული კურიკულუმი. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სახელმწიფო ენის საშუალო საფეხურის კათედრა შეიმუშავებს კურიკულუმის ჩარჩოს მე-11 კლასისათვის გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სასწავლო პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომა. სამომავლოდ იგეგმება ამ მიმართულებით მიდგომების დახვეწა, რომელიც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, დანერგონ დიფერენცირების სტრატეგიების მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისათვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან იკვეთება, რომ კათედრა მოსწავლეთა შეფასებისათვის იყენებს განმსაზღვრელ შეფასებას. კათედრას ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების ეტაპზე შექმნილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი ნიმუშები საჭიროებს დახვეწას, თუმცა კათედრის წევრებს აქვთ მზაობა არსებული რუბრიკების გაუმჯობესებისა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნისათვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.წარმოდგენილ დოკუმენტაციაში - სახელმწიფო ენის კათედრის ოქმში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბმისია.

## მათემატიკა

საშუალო საფეხური

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ (მათემატიკის) კურიკულუმებში ჩანს, რომ მის შედგენის პროცესში აქცენტი გაკეთებულია გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ, სამიზნე ცნებებზე და საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე. კურიკულუმს საფუძვლად უდევს ესგ- ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის განვითარების გრძელვადიან მიზნებზე. ინტერვიუდან გაირკვა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და დაგეგმვისას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვთ გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი ნორმების შესაბამისად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. საგნობრივი კურიკულუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალება სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური მიზნის როლს ასრულებს და ისიც მიემართება გრძელვადიანი მიზნებისკენ. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მასწავლებელს ისე აქვს დაგეგმილი აქტივობები, რომ მოსწავლეს განუვითაროს ფუნქციური უნარები: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა (ფუნქციურ-კომპონენტური უნარი).ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს და წარმოდგენილ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ნათლად გამოჩნდა, რომ პედაგოგები კარგად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს, ხშირად გეგმავენ და იყენებენ დიფერენცირების სტრატეგიებს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა მზაობას, ინტერესს ან სწავლის პროფილს. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინკლუზიური განათლების ერთწლიანი გეგმა. (ინდიკატორი დაკმაყოფილდა)

4. სკოლა იყენებს შეფასების პირველ მოდელს, წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები როგორც შემაჯამებელი, ასევე საშინაო დავალებისა და საკლასო სამუშაოს შეფასებისთვის, ასევე შეფასების სქემა კონკრეტულ დავალებაზე დაყრდნობით სადაც ნამდვილად ჩანს რომ განმსაზღვრელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს; წარმოადგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ასევე შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან. განმავითარებელ შეფასებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იყენებენ სტანდარტთან მიმართებაში მოსწავლის დონის განსაზღვრისთვის და აკვირდებიან მოსწავლის განვითარების დინამიკას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოჩნდა, რომ მასწავლებლები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ნამუშევრების, სადიაგნოსტიკო ტესტირების, დავალებების შეფასებას და ანალიზს, მოსწავლეების, კოლეგების, სსკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგებს, წინარე გამოცდილებას და ყოველივეს გაითვალისწინებენ კურიკულუმის შევსების და დამუშავების პროცესშიც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## უცხოური ენები

საშუალო საფეხური

1. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საშუალო საფეხურზე როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში შეტანილი თემატური ერთეულები და შუალედური მიზნები მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები წარმოადგენს ნათელ მაგალითს სასწავლო პროცესში რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლე. მაგ:. მე10 კლასში მოცემული საკითხი „საყვარელი ფილმის მიმოხილვა“ არის ამის ნათელი დადასტურება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ (რუსულ და ინგლისურ) კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კურკულუმის ჩარჩოებში ჩანს სასწავლო ერთეულების დიფერენცირების საშუალება.

შესწავლილი კურუკულუმის საფუძველზე ირკვევა, რომ საფეხურზე იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს და სასწავლო მასალას, რაც უდაოდ დიფერნცირებული მიდგომებს გულისხმობს. ასევე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა , თუ როგორ ახდენს უცხოური ენის კათედრა მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებას და დავალებების ადაპტაციას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები საშუალო საფეხურზე, სადაც ჩანს სამიზნე ცნებების, ქვეცნებების და საფეხურეობრივი შედეგების მიმართება საკითხთან, თუმცა რუბრიკა დასახვეწია და საჭიროებს საგნობრივი სტანდარტის შეფასების ინდიკატორებთან ზუსტ მიმართებებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრა აქაც იყენებს სოლო ტაქსონომიას. ეს რუბრიკა უფრო კოგნიტურ პროცესებზეა ორიენტირებული. მისი გამოყენებით, მასწავლებელს შეუძლია უკეთ გააანალიზოს მოსწავლის პასუხები და გაიგოს, რომელ დონეს მიაღწია და როგორი პროგრესი აქვს სააზროვნო პროცესებში მას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს, რაზეც მეტყველებს კათედრის მოხსენებითი ბარათი და ინტერვიუს დროს გაზიარებული გამოცდილება ინდიკატორის სტანდარის შესაბამისია.

## საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხური

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ასაკობრივი შესაძლებლობების მიხედვით შემუშავებული და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დანერგვასა და განვითარების გზას, რაც გამოჩნდა მათ მიერ წარმოდგენილ როგორც განხორციელებულ, ასევე დაგეგმილ კომპლექსური დავალებებში, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში ძირითად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების იდეები, რომელიც აგებულია მოსწავლეთა საჭიროებების და ინტერესებიდან გამომდინარე. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა გამოკვეთეს სამომავლო ხედვა, ისაუბრეს გამოცდილებაზე კომპლექსური დავალებების განხორციელების კუთხით. სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობაზე, როგორც გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); კურიკულუმში ასახულ კომპლექსურ დავალებებში, შეთავაზებულ აქტივობებში ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, გრძელვადიანი სასწავლო მიზნების განხორციელებას. საგნობრივი კურიკულუმებში ცალკეულ შემთხვევებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ასევე არ არის წარმოდგენილი სტანდარტით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო თემა. მაგ. მეათე კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი თემა - „გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები“, რომელშიც მხოლოდ ორი სამიზნე ცნებ - 1. მოსახლეობა და მეურნეობა და 2. მდგრადი განვითარება მუშავდება. არ ჩანს როგორ დაამუშავებს პედაგოგი სამიზნე ცნებას - გეოგრაფიული გარსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე არ ჩანს კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის. რაც შეეხება მეორე სავალდებული თემას- „რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური გამოწვევები და ცვლილებები“, საერთოდ არ არის კურიკულუმში წარმოდგენილი.

საქართველოს ისტორიის მეათე კლასის პირველ თემაში არ მუშავდება ცნებები 1. სივრცე და 2. ისტორიული მოვლენა. მეორე თემაში არ მუშავდება 1. საზოგადოება და 2. ძალაუფლება. მესამე თემაში არ მუშავდება 1. ისტორიული წყარო და 2. ძალაუფლება, 3. ისტორიული მოვლენა. ასევე არ ჩანს რომელი ქვეცნებები დამუშავდება მოცემული კომპლექსური დავალებებით.

მეათე კლასის ისტორიის პირევლ თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. ისტორიული წყარო და 2. საზოგადოება. მეორე თემაში არ მუშავდება 1. ისტორიული წყარო და 2. დრო. მესამე თემაში არ მუშავდება სამიზნე ცნებები 1. ისტორიული წყარო და 2. ძალაუფლება.

მე-10 კლასის მოქალაქეობის სტანდარტში პირველი სავალდებულო თემაა „გლობალური მოქალაქეობა“, რაც კურიკულუმში არ ჩანს და მის მაგივრად სავალდებულო თემად წარმოდგენილია „ადამიანის უფლებები“, მეორე სავალდებულო თემა სწორად არის წარმოდგენილი. პირველ თემაში მითითებული წარმოდგენილია ოთხივე სამიზნე ცნება, თუმცა ცნების ფარგლებში დასამუშავებელი საკითხთა კლასტერი ძალიან ზოგადია. რადგან ავტორს სამიზნე ცნებები დაჯგუფებული აქვს, ივარაუდება, რომ კომპლექსური დავალება უნდა განახორციელოს, თუმცა, რა საკითხზე გეგმავს კომპლექსური დავალების განხორციელებას და რომელი ქვეცნებები დამუშავდება, არ არის მითითებული კურიკულუმის ჩარჩოში.

მეორე სავალდებულო თემაში ასევე ბუნდოვანია, რომელი საკითხებით დაამუშავებს მასწავლებელი სამიზნე ცნებებს. მაგ. საერთოდ არ ჩანს ცნება „მდგრადი განვითარების“ შესაბამისი საკითხები. თითოეული სამიზნე ცნების გასწვრივ უნდა იყოს მითითებული საკითხები/საკითხთა კლასტერი, რომლის ფარგლებშიც დამუშავდება თითოეული სამიზნე ცნება.

მოქალაქეობის ფარგლებში განსახორციელებელი სავალდებულო პროექტი არ არის მითითებული. თუმცა პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სექტემბერში გეგმავენ თავად მოსწავლეებისგან მიიღონ უკუკავშირი განსახორციელებელი სავალდებულო პროექტის შესახებ და მათი მაქსიმალური ინტერესების გათვალისწინებით შეირჩეს პროექტი. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება, როგორც კონკრეტული გამოცდილების, ინტერესებისა და მზაობის მქონე ინდივიდი, ეს კი თავის მხრივ გულისხმობს დიფერენცირებულ სწავლის მიდგომებს. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინება ხდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ინტერესების. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებისთვის ადგენენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს, რომლის ფარგლებშიც მაქსიმალურად ხდება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ზოგადი შეფასების რუბრიკები, რომელთა გამოყენებაც ხდება პედაგოგების მიერ სასწავლო პროცესში, რაზეც ინტერვიუს დროს ისაუბრეს. თუმცა, გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი რუბრიკები საჭიროებს დახვეწას, რასაც გეგმავენ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა, რომ პედაგოგები დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას, კერძოდ, ახდენენ შედეგების ანალიზს და მის საფუძველზე ქმნიან განახლებულ კურიკულუმებს. იქიდან გამომდინარე, რომ საშუალო საფეხურზე პირველად ხდება განახლებული კურიკულუმებით სწავლება, განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები მცირეა, რის დახვეწას და გამრავალფეროვნებას გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლისთვის. მე-11 კლასებში პირველად 2023-2024 სასწავლო წელს უნდა განხორციელდეს ახალი სტანდარტით მომზადებული სახელმძღვანელოებით სწავლება და რადგან თვითშეფასების კითხვარის შევსების პროცესში სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი ჯერ დასრულებული არ იყო, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი მე-11 კლასის არცერთი საგნის ჩარჩო-პროგრამა, რომელზე მუშაობასაც გეგმავენ სექტემბერში, სწავლის დაწყებამდე. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

## ესთეტიკური აღზრდა

### საშუალო საფეხური

1. საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდინარეობს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდა მუსიკის საგანში, თუმცა მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო,პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ 2022-2023 წელს სასწავლო პროექტი ხორციელდება მუსიკის საგანში მეათე კლასში.(ერთი პროექტი პირველ სემესტრში და ერთი მეორე სემესტრში) პროექტის მიზანი და შინაარსი ორიეტირებული იყო მოსწავლის ცხოვრებისეულ კონტექსთან და პირად გამოცდიებაზე. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

საშაულო საფეხურზე მუსიკისა და ხელოვნების სწავლება მიმდიანროებს სავალდებულ პროექტის სახით. სკოლას 2022-2023 სწავლო წელს პროექტი არჩეული ჰქონდათ მუსიკაში, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩო და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. მთელი წლის მანძილზე მასწავლებელმა განახორციელა ორი პროექტი პირველ სემესტრში „ეროვნული იდენტობა და ევროპული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში“ და მეორე სემესტრში „აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ხალხური წეს - ჩვეულება-ფიხინო“ სკოლასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს განხორციელებულ პროექტის შედეგიონობაზე, ინტერვიუზე გამოიკვეთა პროექტის შესაბამისობა საშუალო საფეხურის სტანდარტთან. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები) და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.ესთეტიკურ კათედრაზე წარმოდგენილი საგნების ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმით განსაზღრულია სასწავლო მიზნები/დაგეგმილია პროექტული სწავლების ფარგლებში და შერჩეულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. გახორციელებული პროექტის დამასადტურებელ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ნაბიჯები გვაფიქრებინებს, რომ მოსწავლეს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მისთვის ეფექტური საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივობის დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის/ აქტიცობების მოდიფიცირებასა და დირენეცირებას, ამ მიართულებით სკოლის სასწავლო გეგმაში „ინკლუზიური განათლება“ მკაფიოდაა გაწერილი მოსწავლეზე ორიენტირებული დიფერენცირებული/ინკლუზური მიდგომების შინაარსი. ასევე სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში (პროექტი)აღნიშნულია, რომ „სკოლის სასწავლო პროცესი ეფუძნება ინკლუზიურობის პრინციპს, რომლის ფარგლებშიც ჩვენი სკოლა უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასთვის თანატოლებთან ერთად, იმის მიუხედავად, თუ რა ფიზიკური, შემეცნებითი, სოციალური, ემოციური თუ სხვა მახასიათებლები გააჩნიათ. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით სწავლებას. ინკლუზიურობას ვუზრუნველყოფთ ადაპტირებული გარომოთი, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, დიფერენცირებული მიდგომით, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი სტრატეგიები და მეთოდები. დასკვნის სახით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე ორივე საგაზში ( მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე საშუალო საფეხურის სავალდებულო პროექტი ფასდება განმავითარებელი შეფასებით. კათედრამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების წერილობითი კომენტარი,მიუხედავად იმისა რომ ზოგადი ხასიათის იყო კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა განმავითარებელი შეფასების მიზნობრიობა პროექტული სწავლების დროს,ასევე მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეების შეფასებას აწარმოებენ სამიზნე ცნებებთან მიმართებით, კათედრას გააზრებული აქვს შეფასება- სწავლის პროცესის გაუმჯობესებისათვის; შეფასება, როგორც თავად სწავლის პროცესი; მიღწევების შეფასება.ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ინდიკატორი შეფასდა ,როგორცსტანდარტის შესაბამისი.

5.საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილება, რომლის ანალიზის საფუძველზე ქმნის უკვე განახლებულ კურიკულუმს, აღნიშნული დასაბუთებულია სკოლის სასწავლო გეგმის, ავტორიზციის განცხადის თვითშეფასების ფორმაში და საგნობრივ კურიკულუმში(მიმდინარე 2022-2023 სასწავლო წლის მიმდინარე კურიკულუმი,კათედრის წევრებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ სავალდებულო პროექტის შერჩევისას პრიორიტეტი მიანიჭეს მოსწავლეთა ინტერესებს და სწორედ მათი უშუალო მონაწილეობით დაიგეგმება მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმი

ამასთან, ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად იყვნენ/არიან ჩართულები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში, აკვირდებიან მოსწავლეთა სასწავლო პროცესსა და მიღწეულ შედეგებს, ეს კი საშუალებას აძლევს მათ მიღებულ გამოცდილებაზე/მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე/საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით, დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აღნიშნული მსჯელობის საფუზველზე შესაძლებელია დავასკვანთ , რომ კათედრას დაგეგმვის პროცესში აქვს გათვალისწინებული წინარე გამოცდილების ანალიზი და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისობაშია.

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხური

1.შემუშავებული კურიკულუმი უმეტესად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მართალია სკოლა ჯერ ვერ მიდის კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, თუმცა გააზრებული აქვთ მასწავლებლებს სტანდაარტის საფეხურებრივი შედეგები და სამიზნე ცნებებზე აგებული კონსტრუქტივისტული პრინციპები. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. კურიკულუმების ჩარჩო ძირითადად აგებულია მიწოდებული მატრიცებსა და კომპლექსური დავლაებების ნიუშების მიხედვით, მაგრამ არის ცალკეული შეთხვევები, როცა მასწავლებელი ახდენს დავალების მოდიფიცირებას.ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ გათვალისწინებულია მოსწავლისთვის საინტერესო, და განსხვავებული გამოცდილების, სხვადსხვა მოსაზრებების გაზიარება.საშუალო საფეხურის პედაგოგებს აქვთ კომპლექსურ დავალებებზე, თემატურ მატრიცებზე მუშაობის გამოცდილება. მიმაჩნია, რომ საშუალო საფეხურზე, მოხდება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვა და ასახვა კურიკულუმში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მიმდინარე კურიკულუმები შექმნილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნები- სამიზნე ცნებები და შუალედური მიზანი- კომპლექსური დავალება. ახალი სასწავლი წლისთვის კათედრამ უკვე შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები საბაზო საფეხურზე საბუნებისმეტყველო საგნებში , სტანდარტის შესაბამისად არის შეტანილი სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები.კომპლექსური დავალებები გაწერილია თითო კლასში 1-2 საკითხზე. □უნქციურ უნარებზე გასვლის ხედვა კი ლოგიკურრად მატრიცებზე მუსსაობისას გამოჩნედება.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ამ საშუალო საფეხურზე არ ჰყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლის მიერ მოწოდებულ 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას დიფერენცირებულ მიდგომს, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული დამატებითი რესურსებიდან, აქტივობებიდან და კურიკულუმებიდან გამომდინარე შემიძლია დავასკვნა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ, ინკლუზიურ მიდგომებს და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელებმა ინტერვიუში ისაუბრეს , რომ ძირითადად იყენებენ ზეპირ განმავითარებელ კომენტარებს და სტანდარტულ შაბლონებს შეფასების რუბრიკას. ახალი სასწავლო წლისთვის ისინი შექმნიან სტანდარტის ინდიკატორების საფუძველზე განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით ცვლილებები აისახა, თუმცა ამისთვის აუცილებელია რეფლექსიის/დიაგნოსტრირების ინსტრუმენტის შემუშავება/განხორციელება, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. ეს სკოლას აღნიშნული აქვს მეთოდოლოგიის დამუშავების საკითხში.ის ფაქტი, რომ წარმატებული კომპლექსური დავალებები კვლავაც განაგრძნობენ „არსებობას“ ახალ კურიკულუმის ჩარჩოებში (მაგალითად, მე-10 კლასის ქიმიის კურიკულუმის ჩარჩოში ვხდებით უკვე დანერგილი კოპლექსურ დავალებას თემაზე „ატომის აღნაგობა“) მეტყველებს, რომ პედაგოგები გამოცდილებაზე დაფუძნებით მუშაობენ დაგეგმის პროცესში. შესაბამისად, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი**

**საშუალო საფეხური**

1. წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე, ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. .სკოლის ფიზიკური აღზრდის და სპორტის საშუალო საფეხურის 10-12 კლასის კურიკულუმებში, გაწერილი სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები და დაგეგმილი კომლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური განვითარების, ორგანიზებისა და თვითკონტროლის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების დანერგვის მიღწევაზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნები (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), სამიზნე ცნებები და შედეგები. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდის და სპორტის სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის და სპორტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგებას, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ საქაშეთის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად უზრუნველყოფს მოსწავლეების, მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
4. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რუბრიკები, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თემებთან და დაგეგმილი კომპლექსური დავალებებთან, შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც წარმოადგინა სკოლამ კერძოდ: - რუბრიკები კომპლექსური და შემაჯამებელი დავალების, გაკვეთილის, მოსწავლის თვითშეფასების, მრავალმხრივია და ვალიდურია. საშუალებას იძლევა, მოსწავლეების ცოდნა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასდეს ობიექტურად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
- 2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
- სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კომპლექსური დავალებები;
- სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
- სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“
- სპეც მასწ.ანგარიში
- .ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 1 06 09 2022
- .ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 2 28 12 2022
- „პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
  - ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.
1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

## სახელმწიფო ენა

საშუალო საფეხური

1.სახელმწიფო ენის კათედრის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმში ასახულია გრძელვადიანი მიზნები და საგნობრივი საკითხები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება და სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. კურიკულუმის ჩარჩო ნაწილობრივაა შევსებული (სამი სვეტი: თემა, ტექსტები, რესურსები). მითითებულია განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მე-11 კლასისათვის შესაქმელია 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმი ახლად გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით, ასევე დასახვეწია სხვა კლასების კურიკულუმის ჩარჩოები. კათედრის წევრებს აქვთ მზაობა აღნიშნული ცვლილებების განხოციელებისათვის. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.საგნობრივი კონტექსტები ხელს უწყობს მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას;ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.განხორციელებული კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შეფასების სისტემა ნაწილობრივ ჰოლისტურია. განმავითარებელი შეფასება ხელს უწყობს მოსწავლის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. იგეგმება ჰოლისტური შეფასების მხარდაჭერი სისტემის დანერგვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იციან, რა კრიტერიუმებით ფასდება სასწავლო აქტივობა, კრიტერიუმები გამოკრულია დაფაზე, კლასის კედელზე. შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## მათემატიკა

საშუალო საფეხური

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები (მათემატიკა) ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებს. კარგად ჩანს, გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას) შორის, ამასთან მასწავლებლებმა, გასაუბრებისას, წარმოადგინეს რეალიზებული კომპლექსური დავალება ნარატივის სახით და რეფლექსია მასზე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. კათედრამ აღნიშნა, რომ რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და კურიკულუმის განხორციელებისას ეს გათვალისწინებული იქნება. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია ისეთი აქტივობები. მაგ.: ჯგუფური სამუშაო, დისკუსია, წყვილებში მუშაობა, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს განუვითაროს თანამშრომლობითი უნარები, აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი გადაწყვეტილებების შედეგებზე საკუთარი თავისა და სხვების მიმართ ეს კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო - სოციალურ განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. შეფასების სისტემა არ არის ორიენტირებული მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება გულისხმობს, რომ მოსწავლე თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი, მასწავლებელი კი ამაში უნდა უწყობდეს ხელს. ამისათვის კათედრა აქტიურად იყენებს კომპლექსურ დავალებებზე დაფუძნებულ სწავლებას, რაც ჩანს კურიკულუმებიდან. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. ამისათვის მასწავლებლები იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს. წარმოდგენილია დანართები, სადაც ჩანს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მიერ შექმნილი შეფასების სისტემა ძირითადად არის ვალიდური, რადგან სრულ შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. საშუალო საფეხურზე გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და სოლო ტაქსონომია. მასწავლებლები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს და იყენებენ ჰოლისტური და ანალიტიკური შეფასების რუბრიკებს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5.იგეგმება შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ დაინერგება. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია

## უცხოური ენები

საშუალო საფეხური

1. სასწავლო პროცესი მეტწილად უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. თუმცა არის თემები, რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები და ასევე თემები, რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება ( მეგ.: ინგლისური ენა, მე-10 კლასის მე5 თემატური ერთეული);ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. საგნობრივი კონტექსტები სრულად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს აქტიურ ჩართულობას, რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების სისტემა აჩვენებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერას. კერძოდ, რუბრიკებად გამოიყენება ტაქსონომია, თუმცა აქვე კარგი იქნება კონკრეტულ ნიმუშში ჩანდეს, თუ როგორ იდენტიფიცირდება (ან როგორ შეიძლება იდენტიფიცირდეს) მოსწავლის მიღწევის დონე შესაბამისი კომენტარით; რაც შეეხება განმსაზღვრელი შეფასებას, წარმოდგენილია შემაჯამებლი დავალების ანალიზი ინგლისურ ენაში ( მე-10 კლ), სადაც შეფასება ორიენტირდება მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე (გრამატიკული დროების სწორად გამოყენება). აუცილებელია, შემაჯამებელი დავალებები დაკორექტირდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და თემის ფარგლებში ცოდნის სამივე კატეგორიის გამოყენების უნარი შეფასდეს. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ( რუსული ენა) არის შესაფასებელი დავალებების ვალიდური და სანდო, რაც კარგად ჩანს სამიზნე ცნებების და ქვეცნებების სწორ მიმართებებში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
5.წარმოდგენილი შემაჯამებლის ანალიზის ნიმუშის საფუძველზე შემიძლია ვივარაუდო, რომ უცხოური ენის კათედრაზე ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას საჭირო ვადით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## საზოგადოებრივი მეცნიერებები

საშუალო საფეხური

1. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ყველა წევრი ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. უნდა აღინიშნოს, რომ მე-10 კლასის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის კურიკულუმებში სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული. ჩანს, თუ რომელი გრძელვადიანი მიზნების დამუშავებაა შესაძლებელი ამა თუ იმ კომპლექსური დავალებით. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; საშუალო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში ძირითადი თემებია განსაზღვრული (თუმცა არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას). კათედრას ამ ეტაპზე საგნობრივი კონტექსტების ნაწილი აქვს შერჩეული კონკრეტული დავალების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა და ისაუბრეს მასწავლებლებმა თუ როგორ წარმიმართება მათი სასწავლო პროცესი კურიკულუმის მიხედვით, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო -სოციალურ განვითარებას. ასევე არ არის წარმოდგენილი მე-11 კლასის საგნობრივი კურიკულუმი, რაც ახალი სახელმძღვანელოს გრიფირების პროცესის დაუსრულებლობით არის განპირობებული. სკოლაში განხორციელებული პროექტები -„ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „სპორტული მარათონი“, „ნაადრევი ქორწინება“ ხელს უწყობს მოსწავლეებში პიროვნული და ფსიქო-სოციალური უნარების განვითარებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.
3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეფასების რუბრიკა არის ზოგადი. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლი წლისთვის თითოეული კომპლექსური დავალებისთვის შექმნიან განმსაზღვრელი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომელსაც გამოიყენებენ კომპლექსური დავალებების შესაფასებლად. ასევე, სკოლაში იგეგემება შეფასების მრავალფეროვანი მექანიზმის დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. თვითშეფასების კითხვარის მიხედვით 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა ირჩევს განმსაზღვრელი შეფასების მეორე მოდელს, შესაბამისად შეფასების პროცესში მეტი აქცენტი გაკეთდება განმავითარებელ შეფასებაზე, განმსაზღვრელ შეფასებას კი მხოლოდ შემაჯამებელი დავალებების შესაფასებლად გამოიყენებენ. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

4. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ იყენებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, რომლის კრიტერიუმების მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი. მათთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა ძირითადი პრიორიტეტები, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც საშუალო საფეხურის პედაგოგები გეგმავენ შეფასების მეორე მოდელზე გადასვლითა და კონკრეტული შეფასების რუბრიკების შექმნით, რომელიც ზუსტად გაზომავს თითოეული მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

5. სკოლაში ამ ეტაპზე არ არის შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი და სამომავლოდ გეგმავენ მის შემუშავებას. ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილი შესაბამისობა.

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შენახვის წესის შესაბამისად. ინდიკატორი შეფასდა როგორც შესაბამისი.

## ესთეტიკის კათედრა

საშუალო საფეხური

1.ესთეტიკური კათერის საშუალო საფეხურის საგნობრივ ჩარჩო კურიკულუმში,პროექქტული სწავლება მუსიკაში, სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტრიებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ ჩანს კავშირი სამიზნე ცნებას, თემას საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), შორის. შუალედური სასწავლო მიზნები ( პროექტები) აზუსტებს სამიზნე ცნენების ქვეცნებებს და მიემართება საგნობრივი საკითხის მრავალმხრივ გააზრებისკენ, უზრუნველყოფს მკვიდრი წარმოდგენების განზოგადებას.

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)აღწერისას ვკითხულობთ :შედეგის მისაღწევად საჭიროა გრძელვადიანი და მოკლე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადიანი მიზნების შემუშავება საფეხურების მიხედვით. გრძელვადიანი მიზნების ფორმულირებისას ყურადღება მიექცევა შედეგებს, სამიზნე ცნებებს და მათთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, საფეხურის საკვანძო შეკითხვებს. მოკლევადიანი მიზნების ფორმულირება მოხდება თემის ფარგლებში. აქ შუალედური მიზნის როლს ასრულებს: საკითხები/ქვეცნებები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კომპლექსური დავალება/დავალებები და შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები.“ და იქვე „თითოეული საფეხურის მიზნების მისაღწევად მასწავლებლები გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებს, სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და რესურსებს.“სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“- 15.01.2021-30.05.2021 წწ V.სამოქმედო გეგმა,სკოლის საწავლო პროექტის ანგარიში „ცხოვრების ჯანსაღი წესი“და სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც.

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით და ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. ესთეტიკური კათერის საშუალო საფეხურის საგნობრივ ( მუსიკა-პროექტული სწავლება) ჩარჩო კურიკულუმში წარმოდგენილი საგნობრივი ორიენტირები, პროექტის თემები ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული პროექტის თემები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას კი საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე დამოკიდებულებებზე საუბარი.

სასკოლო სასწავლო გეგმის (პროექტი 2023 2024),სასკოლო კურიკულუმების ზოგადი დახასიათებაში, სწავლა-სწავლების მიზნების (ზოგადი დახასიათება)ნათლადაა წარმოდგემლი სკოლის ხედვა საშუალო საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით ვციტირებ:„საშუალო საფეხური საგანთა გაღრმავებული სწავლების გზით ხელს უნდა უწყობდეს სისტემური ცოდნის კონსტრუირებას ასევე მოაზროვნე, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად.“ .ამასთან სკოლას 2022-2023 სასწავლო წელს განხორცილებული აქვს პროექტი –„ცხოვრების ჯანსაღი წესი“ სადაც ჩართული იყო ორივე საგნი ( მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტის მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. ამას სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც გვიდასტურებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(პროექტები:„მამული, ენა სარწმუნოება" ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.).

წამოდგენილი მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.ესთეტიკურ კათდრაზე, მე 10 კლასში მუსიკის საგანში პროექტული სწავლების დროს მასწავლებელი აფსებს მოსწავლეს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი განმავითარებელი კომენტარით მსწავლებელს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს სემესტრის შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარები პროექტის შედეგებთან მიმართებით. შეფასების სისტემა ორიენტირდება არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნაზე,არამედ უნარების განვითარებაზეც,მიუხედავად იმისა რომ განმავითარებელი შეფასება ზოგადია და უშუალოდ არ მიემართება პროექტის ფარგლებში მოცემულ გრძელვადიან მიზნებს ,გააუბრებაზე მასაავლებელმა გამოკვეთა მოსწავლეთა მიღწევები და კათედრამ განმარტა გნმავითარებელი კომენტრის წერის თავისებურებები.

სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი"- 15.01.2021-30.05.2021 წწ V.სამოქმედო გეგმა,წარმოდგენილია ის აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას, რაც დასტურდება კიდეც სკოლის საწავლო პროექტის ანგარიშში წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობების ამსახველი თვალსაჩინოებით ,ასევე სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველი ნარატივები და ფოტომასალაც გვიდასტურებს მოსწავლის ჰოლისტური განვითარებაზე ზრუნვას(პროექტები:„მამული, ენა სარწმუნოება" ,ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და სხვ.)

მოცემული მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფსების ორივე ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება ორიენტირებული იყოს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე . ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.ესთეტიკურ კათდრაზე, მე 10 კლასში მუსიკის საგანში პროექტული სწავლების დროს მასწავლებელი აფსებს მოსწავლეს როგორც ზეპირი ასევე წერილობითი განმავითარებელი კომენტარით მსწავლებელს დოკუმენტაციაში წარმოდგენილი აქვს სემესტრის შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარები პროექტის შედეგებთან მიმართებით. სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი"- 15.01.2021-30.05.2021 წწ VI. მონიტორინგის, შეფასებისა და უკუკავშირის გეგმა, მონიტორინგის რამდენიმე ფორმაა წარმოდგენილი რაც გვაფიქრებინებს პროექტის შეფასების გამჭირვალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სასწავლო პროექტის ანგარიშშიც სკოლის სოციალური ქსელზე(ფაცებოოკ) ატვირთული ღონისძიებების ამსახველ მასალებშიც დასტურდება შედეგის მიღწევა, წარმოდგენილი კონკრეტული აქტივობების ამსახველი თვალსაჩინოებით. მოცემული მტკიცებულებებისა და მასწალებლებთან ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს განმავითარებელ შეფსების ფორმას. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში შეფასება სისტემა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლაში ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა შეფასების ვერიფიკაციის მექანიზებზე და სამომავლოდ გეგმავენ მისგანხორციელებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას მატერიალური ფორმით, კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელთან ინახება მოსწავლეების ნამუშევრები მატერიალური სახით და ასევე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები. მოსწავლეთა პირადი საქმეები ინახება შენახვის წესის შესაბამისად. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

საშუალო საფეხური

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმში მართალია არაა გაწერილი კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ მაგალითი და შედარების მაგალითი, მაგრამ პედაგოგებთან გასაუბრება, ასევე წარმოდგენილი მასალა, მაძლევს იმის საფუძველს, რომ დავასკვნა: პედაგოგებს გააზრებული აქვთ სამიზნე ცნებები, მათი დანიშნულება, მათი დამუშავების/გათავისების აუცილებლობა. განმავითარებელ შეფასების რუბრიკაშიც წარმოდგენილია ცნებები თავისი მკვიდრი წარმოდგენებით. ის მომენტი, რომ ცნებებზე ორიენტირება ხდება არა მარტო კომპლექსურ დავალებებში, არამედ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებში, მარწმუნებს, რომ სასწავლო პროცესი მთლიანად მიმართულია ცნებებისკენ ანუ გრძელვადიანი მიზნებისკენ.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე მორგებული აქტივობები,რომ სასწავლო პროცესი თანამშრომლობასა და მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თუმცა იმისთვის, ეს პროცესი გაზომვადი იყოს აუცილებელია სასწავლო პროცესში აქცენტები გაკეთდეს მოსწავლის კოგნიტურ და სოციო-ემოციურ განვითარებაზე, კურიკულუმში აქტივობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამას ხელს უნდა უწყობდეს და კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში თანმიმდევრულად უნდა მოხდეს მისი განვითარება თითოეული მოსწავლის მიერ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ ეს საკითხვები ესმით, გააზრებული აქვთ და მომავალი სასწავლო წლის საგნობრივ მატრიცებში აუცილებლად გაითვალისწინებენ.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, როცა კლასში დადებითი სასწავლო გარემოა. ინტერვიუსას პედაგოგები აღნიშნავენ, რომ გაკვეთილის დაწყების წინ შეფასების კრიტერიუმებს აცნობენ მოსწავლეებს: „გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გავახსენე , რომ ისინი შეფასდებოდნენ იმ სქემების მიხედვით, რომელიც მათ გაკვეთილის დასაწყისში გავაცანი.“ ეს მომენტი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობებზეც, რადგან მოსწავლეებს გაუჩნდებათ განცდა, რომ შეფასებისას მასწავლებელი „ობიქტურია“ და ექნებათ შეფასების მეტი მიმღებლობაც. მასწავლებლების მიერ გამოყენებული ცნებებზე მიმართული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე მეათე კლასში გამოყენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკა „ შემაჯამებელი დავალების ანალიზებისას გამოყენებული შეფასების სქემები და სხვა. მეტყველებს, რომ სწორი ნაბიჯებია მოსწავლის ჰოლისტური შეფასებისკენ გადადგმული. ამას ამყარებს მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუც. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა მოსწავლეთა შეფასებებს ახდენს კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალების, ექსპერიმენტების ჩატარებზე. წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები, ბიოლოგიის და ფიზიკის მიხედვით, სადაც აქცენეტები გაკეთებული სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე ინდიკატორების მიხედვით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. სკოლა გეგმავს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დახვეწას.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა რომ მათ აქვთ მომავლის ხედვა თუ როგორ უნდა მოახდინონ დაგეგმილი აქტივობების/მიღწევების შედეგის ანალიზი, ვერიფიკაციის მექანიზმი სკოლას აქვს შექმნილი, თუმცა ამ დოკუმნეტის გამოყენებას ახალი სასწავლო წლისთვის გეგმავენ, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ნამუშევრებზე უკუკავშირს, განმავითარებელ ზეპირ კომენტარს და რეკომენდაციას აძლევენ.

6.კათედრის მიერ მოსწავლეთა მიერ მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და გაანალიზება ხორციელდება არსებული კომპლექსური დავალებების, შემაჯამებელი დავალებების მიხედვით. იკვეთება მზაობა, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა სამომავლოდ უზრუნველყოფს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის დაცვას და გაატერებს შესაბამის ზომებს ანუ 2023-2024 სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემს/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამის თქმის საშუალებას მაძლევს სკოლის პოტენციალი, მისი განვითარებისკენ სწრაფვა და პედაგოგებთან ინტერვიუ.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

## ფიზიკური აღზრდა და სპორტი

1. საშუალო საფეხურის სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პოროცესი. კურიკულუმებში გაწერილი თემები და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; მოსწავლეები გაეცნობიან საგნობრივ საკითხებს, საკვანძო შეკითხვებს, განიხილება კომპლექსური დავალების პირობას და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით მოხდება, ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტივობების გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი ,,პროდუქტი“, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2. სკოლაში საშუალო საფეხურის სასწავლო პროცესი და საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. სკოლის მიერ შეთავაზებული სწავლის სხვადასხვა მეთოდები - თეორიული, პრაქტიკული. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული ჰიპერლინკები, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს და ქართველი სპორტსმენების მიღწევებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ, ფსიქო-ემოციურ კეთილდღეობას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მიზანმიმართულად გამოიყენება, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება საგაკვეთილო პროცესში, სიტყვიერი კომენტარები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განვითარებას. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4. სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან გამომდინარე . მასწავლებლები ფლობენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს( დისკუსიის, პრეზენტაციის, პრაქტიკული სამუშაოს, ჩართულობის, აქტივობის), ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფიზიკური აღზრდის და სპორტის შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს, საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

5. სკოლის თვითშეფასების განაცხადის ნარატივში წარმოდგენილ ვერიფიკაციის მექანიზმები და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა, მოქმედ სტანდარტებთან. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.

6.საშუალო საფეხურზე წარმოებული ელექტრონული ჟურნალები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. ამასთანავე ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
2023-24 წლების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
მიმდინარე და მომავალი წლის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები
სსმ მოსწავლეზე გაწერილი ინდივიდუალური გეგმების ნიმუშები
კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
კომპლექსური დავალებები;
სხვადასხვა საგნის კურუკულუმები;
სკოლის საწავლო პროექტი„ცხოვრების ჯანსაღი წესი“
სპეც მასწ.ანგარიში
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 1 06 09 2022
.ი.ს.გ.ჯგუფის ოქმი 2 28 12 2022
„პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფის დებულება“ 2021 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
მოსწავლეთა აკადემიური შედეგების ანალიზი
ინტერვიუ მასწავლებლბთან და დირექციასთან.
შეფასება:

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლაში შექმნილია მხარდაჭერი და მიმღებლობითი გარემო,რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით,ისე ვიზიტის დროს გარემოს დათვალიერებით.სკოლაში დანერგილია ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა,რომლის დაგეგმვა და განხორციელების პროცესი მიმდინარეობს ერთობლივად. პოზიტიურ გარემოში ხდება უკუკავშირების გაცემა და შემდეგ მათზე რეაგირება.სკოლის ბიბლიოთეკა და სკოლის ნებისმიერი რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.სკოლის მისიაში გაწერლია მოსწავლის აკადემიური შეფასების წესი,რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე.ასევე სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, სადაც დეტალურად არის აღწერილი მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარები გზა. სკოლის მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმაში, აღნიშნულია რამდენად გეგმავს და წარმართავს სკოლა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, ასევე, მოცემულია საგნობრივი კურიკულუმები, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება).სკოლას შემუშავებული აქვს საშუალო საფეხურზე ისტორიის, საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მოქალაქეობის საგნების კურიკულუმი და დაგეგმილი აქვს სასწავლო პროცესი შუალედური სასწავლო მიზნებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით სწავლება პედაგოგს საშუალებას აძლევს უზურნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და შექმნას ეფექტური გარემო მოსწვალეთა პოტენციალის რეალიზებისთვის.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

2.სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად, ამის ერთ-ერთ საშუალებად სკოლას მიაჩნია მოსწავლის ინტერესების შესაბამისი კომპლექსური დავალებების შერჩევა,განხორციელებული პროექტები,რომლებიც მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. კათედრის წევრების ფართო ჩართულობით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მიზანია მოსწავლეებში ექვსი ძირითადი ფუნქციური უნარის განვითარება და საფეხურის გრძელვადიანი მიზნების მიღწევა. მომდევნო სასწავლო წლიდან სკოლა გააძლიერებს როგორც ფორმალურ , ასევე არაფორმალური მიმართულებით მუშაობას. იმისათვის რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლეზე ორიენტირებულად სკოლა კონკტერული დავალებების შესასრულებლად მოსწავლეებს სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომას..კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო რესურსები, რომლებიც მოსწავლემ შეიძლება გამოიყენოს როგორც დამატებითი რესურსები. ქიმიის საგნობრივ კურიკულუმში მითითებული იყო ელექტრონული რესურსი ზოგადად და არ იყო მითითებული შესაბამისი ბმულები თუმცა პრობლემა მოგვარდა სკოლაში ექსპერტების ვიზიტის პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას,რაც დასტურდება ერთობლივად დაგეგმილი,განხორციელებული და გაანალიზებული კომპლექსური დავალებებით,თუ პროექტებით.როგორც კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში წარმოდგენილი მეთოდოლოგია და მასზე დაფუძნებული პროცესები წარმოადგენს თანამშრომლობის შედეგს.ამ ეტაპზე მიმდინარეობს 2022-2023 სასწავლო წლის გაანალიზება და შედეგების სფუძველზე პროექტის რევიზია.პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლის და კლასის დონეზე.რაც დასტურდება საგნობრივ კათედრებთან გასაუბრების პროცესში.კერძოდ შეფასების სისტემა,როგორც განმავითარებელი,ისე განმსაზღვრელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია ერთობლივად,ემყარება პოზიტიურ უკუკავშირს და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ.სკოლას შემუშავებულია აქვს ადაპტაციის წესი,რომლის საპედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ ერთ წლიან სამოქმედო გეგმაში. სწავლა სწავლების პროცესი მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერაზე. დირექციის მიერ კარგად არის აწყობილი დელეგირების პროცესი რაც ხელს უწყობს პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლაში ხშირია ერთობლივი ღონისძიებები / პროექტები, გუნდური მუშაობის პრინციპი და ღიაობა ერთ-ერთი დასაფასებელი კრიტერიუმია. სკოლა განაგრძობს აქცენტირებას პოზიტიური სასწავლო კლიმატის გასავითარებლად, რისთვისაც დაიგეგმება სხვადასხვკვლავა ტიპის პროექტები, რომლებიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა ინტერესებსა და მხარდაჭერაზე , რაც გააძლიერებს სასკოლო საზოგადოებიში მიკუთცვნებულობის განცდას. ყოველივე ეს აისახება 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის მეთოდიკური ორიენტირების ნაწილში და ერთწლიან სამოქმედო გეგმაში. პერიოდშივე. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები
კათედრის სხდომის ოქმებით,
2023 -2024 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმით
შეფასების რუბრიკებით;
კურიკულუმით
მასწავლებლებთან გასაუბრებით.
ინტეგრირებული გაკვეთილის ანალიზით
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება
2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ფოკუსირებულია მოსწავლეთა მუდმივ განვითარებაზე, რომელიც უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებებით. შეფასებისას სკოლა ეყრდნობა ისეთ წყაროებს როგორიცაა , კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები,მოსწავლეთა მიღწევები, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. კათედრებზე არსებული მონაცემების მიხედვით კეთდება ანალიზი და შეფასება. ახალი 2023-2024 სასწავლო წლისათვის სკოლა გეგმავს შეფასებისას გამოიყენოს ისეთი წყაროები როგორიცაა:მოსწავლეთა უკუკავშირი და მოსწავლეთა რეფლექსიები, შეფასების დიზაინის შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ხედვა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. შეფასება ხორციელდება მოსწავლეთა უკუკავშირების გათვალისწინებით, კომპლესური და შემაჯამებელი დავალებების შედეგების გათვალისწინებით,ასევე სკოლა შეფასებისას ითვალისწინებს მოსწავლის სოციალურ და ფსიქოემოციურ მდგომარეობას., რომლის შესახებაც სისტემატურად იღებს ინფორმაციას კლასის დამრიგებლის და საგნის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისგან. როგორც პირადი შეხვედრებიდან გამოიკვეთა მომავალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში დაინერგება დიაგნოსტიკური შეფასები, წინასწარ შეთანხმებული და გაზიარებული კრიტერიუმების საფუძველზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

3. სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სტატისტიკურ მონაცემებს,რაოდენობრივი კვლევის მეთოდების საშუალებით, ახალ 2023-2024 სასწავლო წელს შეფასებისას სკოლა გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებს - ჩაღმავებული ინტერვიუ, ფოკუსირებული დაკვირვება. რაოდენობრივი მეთოდით მოხდება საშუალო შეფასება, ხოლო თვისობრივი მეთოდით შედეგების ნარატივის სახით აღწერა. ეს მეთოდები საშუალებას მისცემს სკოლას დაინერგოს შეფასების ჰოლისტური მიდგომა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

4.როგორც სასოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დასტურდება,ამ ეტაპზე სკოლის მიერ მუშავდება ისეთი შეფასების კრიტერიმები,რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინაპირობები და პროგრესი,კერძოდ საკლასო გარემო,მოსწავლის ინტერესები,შესაძლებლობები ანუ ყველა ის ფაქტორი,რომელმაც შეიძლება გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების პროცესზე.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თვითშეფასების რუბრიკა
განმავითარებელი შეფასების რუბრიკა
კურიკულუმები
სხვადასხვა საგნის შეფასების სქემები,
კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა გამოკითხვის მასალები,
შესრულებული სამუშაოს ანალიზები

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
    - ☒ შეესაბამება
    - ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

11. როგორც წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმიდან და განხორციელებული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, შეფასება სამივე საფეხურზე და ყველა საგანში ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს: სასწავლო პროცესზე დაკვირვება, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები, შემაჯამებელი წერები, საკლასო და საშინაო დავალების შესრულება, ქვიზების გამოყენება, კითხვების დასმა, ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2. სკოლაში არსებული კათედრები ყველა საფეხურზე იყენებენ შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
3. სკოლაში მასწავლებლები აქტიურად იყენებს დიაგნოსტიკურ ტესტებს, რომელიც ეხმარებათ როგორც შედეგის დანახვაში, ასევე პრობლემის აღმოჩენასა და მომავალში ახალი მიდგომებისა და სტრატეგიების დაგეგმვაში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის, განხორციელებული პროექტების, სხვადასხვა აქტივობებში მოსწავლეთა მონაწილეობის გათვალისწინებით.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მასწავლებლების თვითშეფასებით,
მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებით
კომპლექსური დავალებებით
მასწავლებლებთან ინტერვიებით
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლაში დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის ჯგუფი,რომლის მიზანია კურიკულუმის მონიტორინგი წელიწადში 2-ჯერ, წინასწარ შემუშავებული (მოსწავლე,მასწავლებელი,მშობელი) კითხვარების საშუალებით. გამოვლენილი პრობლემის თუ წარმატების გაანალიზების შედეგად შეიქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომლის საფუძველზე მოხდება სასკოლო კურიკულუმის გადამუშავება და განვითარება საგნობრივი კათედრების ფრაგლებში.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
2..როგორც საგნობრივი ექსპერტებთან კათედრის წევრების გასაუბრების დროს და 2023-2024 სასკოლო გეგმის პროექტის გაცნობისას გამოვლინდა სკოლაში მიმდინარე პროცესები ოთხ ეტაპად მიმდინარეობს: რევიზია დაგეგმე,განახორციელე,შ მონიტორინგი . ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ახალი საგნობრივი კურიკულუმი იქმნება წინა წლის შედეგების ანალიზზე. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას,ეს გამოცდილება აისახება , როგორც კლასის ასევე საფეხურის დონეზე. ახალი კურიკულუმების შედგენისას გათვალისწინებულია ის სირთულეები, რომელიც მის დანერგვის პროცესში შეიქმნა. ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში საუბარია იმის შესახებ, რომ კურიკულუმის განვითარების ერთ-ერთი ეტაპია გადასინჯვა და რევიზია. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.
შედეგების ანალიზის საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმისა და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაქმნელად,საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული გეგმის გადასინჯვისთვის.ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
კურიკულუმის შექმნის მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

კათრების ხდომის ოქმები;
მასწავლებლის ანგარიშები,
მასწავლებელთა დასწრების და ურთიერთდასწრების ანგარიშები
მშობლების გამოკითხვის შედეგები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი

24.08.2023 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: